

ლია ზუაძე

ეროვნე სეკოერიაზი

ნლოენი, მოვლოენენი,
ფაქტენი



გამომქემლოზა „კნტავრი“
თბილოისი 2008

წიგნი მრავალმხრივ და, დღეისთვის, ყველაზე სრულად ასახავს ცნობილი ქართველი მხატვრის, ელენე ახელედიანის ცხოვრებას, მის ღვაწლს ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციაში, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. იგი განკუთვნილია როგორც ქართული სახვითი ხელოვნების კვლევით დაინტერესებულთათვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის.

რედაქტორი:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი ირინა არსენიშვილი

რეცენზენტი:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი ქეთევან კინწურაშვილი

დაკაბადონება, დიზაინი:

ეკატერინე ოქროპირიძე

კორექტურა:

მანანა გოშაძე

© ლია ბუაძე „ელენე ახელედიანი (წლები, მოვლენები, ფაქტები)“

ISBN 978-9941-9004-5-7

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I	
თელავის პერიოდი.....	7
თავი II	
თბილისის პერიოდი.....	11
თბილისის ბოჰემა.....	15
დომიტრი შუვარდნაძე და მისი წრე.....	18
თავი III	
პარიზის პერიოდი.....	23
XX საუკუნის პარიზი – „მსოფლიოს დედაქალაქად წოდებული“.....	25
ელენე ახელედიანი პარიზში.....	27
თავი IV	
პარიზის შემდგომი პერიოდი.....	33
ელენე ახელედიანი და ქართული თეატრი.....	34
ბრძოლა კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად.....	39
საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები.....	46
ელენე ახელედიანი და მუსიკა.....	49
თავი V	
დაბრუნება.....	59
პეიზაჟისტ-პლენერისტთა ჯგუფი.....	60
ელენე ახელედიანის სახელოსნოში.....	63
ახელედიანის თბილისი.....	67
თავი VI	
რამდენიმე შტრიხი მხატვრის ფსიქოლოგიური პორტრეტისთვის.....	73
განმარტებები.....	82
ახელედიანი - ახელედიანისა და სხვების შესახებ.....	89
გამოფენები.....	112
ელენე ახელედიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები.....	115
ლიტერატურა.....	117
Elene Akhvediani Years, Events, Facts.....	120
Important Dates	128

შესავალი

ელენე ახვლედიანის შემოქმედება ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილია. მისი ცხოვრება ემთხვევა ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე პერიოდს (ორი მსოფლიო ომი, რევოლუციები, საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობა, საბჭოეთის იდეოლოგიური სტანდარტების დამკვიდრება ხელოვნებაში და მასზე მკაცრი ცენზურა, რეპრესიები და სხვა). გასული საუკუნის ბოლოს, საქართველოში დაიწყო კულტურულ ღირებულებათა გადაფასების პროცესი, რომლის პარამეტრები და კრიტერიუმები მარტივად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება, თვითმყოფადობა, პიროვნული ღირსებები, მსოფლიოს მხატვრულ აზროვნებაში მიმდინარე პროცესებთან თანაზიარობა და სხვა. ცალსახად უნდა ითქვას, რომ დროითი დისტანციის ისტორიულ გამოცდას ე. ახვლედიანმა გაუძლო ყველა ზემოაღნიშნული პარამეტრის დაკმაყოფილებით. მისი მხატვრული მემკვიდრეობის თვითმყოფადობა საყოველთაოდაა აღიარებული ისევე, როგორც ეჭვგარეშეა უნიკალური ადამიანური თვისებები. მიუხედავად იმისა, რომ ე. ახვლედიანსაც უხდებოდა „ხარკის გაღება“ კონიუნქტურისთვის, მან მაინც დაიმკვიდრა ხელოვნებასა და ცხოვრებაში უკომპრომისო ადამიანის რეპუტაცია. ე. ახვლედიანის მოღვაწეობის მიმზიდველობისა და აქტუალობის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მისი პიროვნული და კრეატიული ფსიქოტიპი ერთ სიმალღეზეა, რაც ართულებს კიდევ ბიოგრაფიული და შემოქმედებითი პორტრეტების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოსახვას. ამიტომ ე. ახვლედიანის ბიოგრაფია არ წარმოადგენს ერთი ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზის მხოლოდ ქრონოლოგიურ აღწერას, ფაქტებისა და მოვლენების მშრალ ფიქსაციას. ამ ფაქტების მიღმა იმავედროულად იკვეთება ქართული კულტურის მოამაგის, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის ფიგურა და მისი საინტერესო ფსიქოლოგიური პორტრეტი. თანდაყოლილ ალტრუიზმთან ერთად ე. ახვლედიანი

გამოირჩეოდა მჩქეუარე ტემპერამენტით, ინიციატორობით, ორიგინალური იდეებითა და მათი ხორცშესხმის უნარით, ძველი მეგობრების შენარჩუნებისა და ახლების შექმნის ნიჭით (განსაკუთრებით – საქართველოს ფარგლებს გარეთ), მისთვის ძვირფასი ადამიანებისთვის ჭეშმარიტი დღესასწაულების მოწყობის დაუოკებელი ჟინით. ამ უნიკალური თვისებებისა და უნარების წყალობით ე. ახვლედიანმა განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) კულტურულ ცხოვრებაში. მისი სახლი კულტურის ერთგვარ ცენტრად აკი იქცა. ამას, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა სახლისახელოსნოს ანტურაჟიც, რომელიც ხაზგასმული ეროვნული კოლორიტით გამოირჩეოდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ასეთი მკაფიო ინდივიდუალობით გამორჩეული პიროვნების ცხოვრების შესწავლა, ერთი მხრივ, ქვეყნის ხანმოკლე დამოუკიდებლობისა (1918-1921) და, მეორე მხრივ, სტაბილური იდეოლოგიური წინებისა და უნიფიცირების რთულ ეპოქაში. აღნიშნულ ინტერესს აძლიერებს ხშირად დასმული კითხვა: ასეთი პირდაპირი და გულახდილი პიროვნება როგორ გადაურჩა რეპრესიებს და შეინარჩუნა საკუთარი სახე.

ე. ახვლედიანის ცხოვრება და შემოქმედება მუდამ იყო მკვლევართა, ჟურნალისტთა, არტისტული წრეების, ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მიუხედავად ამისა, არსებობს თეთრი ლაქები მის ბიოგრაფიაში, ბევრი ფაქტი და მოვლენა მისი ცხოვრებიდან უცნობია ან ახლებურ შეფასებას საჭიროებს.

ე. ახვლედიანის ცხოვრების შესწავლა, აღნიშნული თეთრი ლაქების შევსება საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ მისი მოღვაწეობა ზოგადკულტუროლოგიურ ასპექტში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების ტენდენციების სურათის შევსებას. ბიოგრაფიის განხილვა მართებულად მივიჩნით შემდეგი პერიოდების მიხედვით: 1. თელავის პერიოდი (1898-1911); 2. თბილისის პერიოდი (1911-1922); 3. პარიზის პერიოდი (1922-1927); 3. პარიზის შემდგომი პერიოდი (1927-1975).

თავი I

თელავის პერიოდი

ე. ახელედნიანის დაბადების თარიღად თითქმის ყველა ოფიციალურ წყაროში მითითებულია 1901 წლის 18 აპრილი, თუმცა მის სახლ-მუხეუმში ინახება ნათლობის დოკუმენტი, სადაც ფიქსირებულია 1898 წელი. ამდენად, ეს უკანასკნელი თარიღი უფრო სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ.

18 აპრილს, მხატვრის დაბადების დღეს, თელავში სრულიად მოულოდნელად დიდი თოვლი მოსულა. ე. ახელედნიანი, რამდენიმე ინტერვიუში დათოვლილი პეისაჟის განსაკუთრებულ სიყვარულსა და მის „უჩვეულო დაბადებას“ შორის იღუმალ კავშირზე მოგვითხრობს. სხვები კი აპრილის ამ კაპრიზს მისი ხასიათის არაორდინალურობას ადარებენ. გაზაფხულისთვის უცნაურად თოვლიან დღეს დიმიტრი ახელედნიანის ოჯახს შეეძინა პირველი შვილი, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე შერჩა ბავშვობაში დარქმეული საალერსო სახელი „ელისკა“. ე. ახელედნიანის სახლ-მუხეუმსა და მისი დის შვილის, ი. კალანდაძის, პირად არქივში დიმიტრი ახელედნიანის შესახებ დაცული მასალებიდან ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ფაქტზე: დიმიტრი ახელედნიანი თელავში საკუთარი სურვილით დაბინავედა მეფე ერეკლეს სასახლის გალავნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველ სახლში (ამჟამად აღარ არსებობს), რათა სოფელ კურდღელაურში თავისი ხარჯებით აეშენებინა ღაზარეთი და უსასყიდლოდ ემკურნალა ავადმყოფთათვის, რასაც წინ უსწრებდა სწავლისა და შრომის ხანგრძლივი პერიოდი. იგი თავიდანვე ამჟღავნებდა სიყვარულს მედიცინისადმი. 1884 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, საიდანაც რიცხავენ სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო. ამის შემდგომ, ამთავრებს ოდესის უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტს და პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიას, სადაც ისმენს აღიარებული მეცნიერების ლექციებს. აკადემიის დამთავრების შემდეგ

უკვე სამშობლოში ეწევა პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას. დ. ახვლედიანი გატაცებული ყოფილა არა მარტო მედიცინითა და ბიოლოგიით, არამედ, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ეთნოგრაფიითა და გენეტიკით. მოწოდებით მკურნალის, მკვლევარის, ქველმოქმედის ნატურას ავსებდა ფაქიზი პოეტური სული, რაც გამოვლენილია მეუღლისადმი მიძღვნილ ლექსებში.

ე. ახვლედიანის დედა – ელისაბედ ერისთავი იყო განათლებული, სათნო და კეთილშობილი ადამიანი. მეუღლესთან ერთად ისიც ეწეოდა ქველმოქმედებას, კერძოდ, ეხმარებოდა უფასო ამბულატორიის შექმნაში. მის ძირითად საზრუნავს მაინც ბავშვების აღზრდა წარმოადგენდა – ახვლედიანებს ხუთი შვილი ჰყავდათ. ელენეს განსაკუთრებული სინაზით ჰყვარებია დედა, რაზეც მეტყველებს მისი ბიოგრაფიის თუნდაც ეს ფაქტი: 1927 წელს, პარიზში ყოფნის დროს, დედის ავადმყოფობის გამო უარს ამბობს პოლანდიაში პერსონალურ მიწვევაზე და დაუყოვნებლივ ჩამოდის თბილისში.

ახვლედიანების სახლი თელავში მუდამ ღია იყო ყველასთვის. «У них в доме собиралась молодежь, интересно проходили вечера, дни рождения и именины – читали стихи, спорили, играли в различные игры, танцевали, пели, а пели дети очень хорошо, аккомпанируя друг другу на фортепиано и гитаре.»¹

პირველი სკოლა, სადაც ყალიბდებოდა ე. ახვლედიანის ცხოვრების წესი, იყო მისი მშობლების ოჯახი, რომლის ხშირი სტუმრები იყვნენ თელავის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ე. ახვლედიანი მშობლებმა მიაბარეს თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ მწერალი ვასილ ბარნოვი, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, მხატვარი ვალერიან სიღამონ-ერისთავი.

თელავში ეზიარა ე. ახვლედიანი მშობლიური პეიზაჟის სილამაზეს, ქართული სიმღერების სიმდიდრეს, აქ შეიგრძნო მან ქართული სიტყვიერების ფასი. მისი პირველი დიდი გატაცება მუსიკა იყო. ნიკო სულხანიშვილთან ურთიერთობამ იმდენად ღრმა კვალი დატოვა ე. ახვლედიანის ცნობიერებაში,

რომ უკვე ჩამოყალიბებულსა და აღიარებულ მხატვარს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ნიკო სულხანიშვილის ქორალებზე ფერწერული სერიის შექმნა. წმ. ნინოს სასწავლებელში მის გვერდით, ერთ მერხზე, იჯდა შემდგომში ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი ანა ვარდიანიშვილი. ანა და ელიჩკა ხშირად მართავენ კონცერტებს ახვლედიანების ოჯახში, სადაც ეწყობოდა მუსიკალური საღამოები და თეატრალიზებული წარმოდგენები.

ე. ახვლედიანი სერიოზულად იყო გატაცებული როგორც ქართული ფოლკლორით, ისე პროფესიული მუსიკით. ამასთან, ჯერ კიდევ ბავშვობაში იგი ავლენდა მხატვრობის ნიჭს.

„თელავში დავიწყე ხატვა. პირველად ჩემი ნაცოდვილარები მამამ გაასინჯა ჩემი ქართულის მასწავლებელს, სახელოვან მწერალს ვასილ ბარნოვს, რომელსაც გოცბებულს უთქვამს: მიეცით გზა ელენეს, ხატოს, ეგების მაგის სახით საქართველოს მოევილინოს მხატვარი.“

ე. ახვლედიანი აგრძელებს თხრობას: „მეორე დღეს, როდესაც კლასში შემოვიდა ვასილ ბარნოვი, ფეხზე ამაყენა და მთელი კლასის წინაშე ასე თქვა: „ქართველი ქალი ბუნებით მხატვარია, აბა, დააკვირდით ჩვენი წინაპრების ნაქსოვ-ნაქარგებს. მათი შემქმნელები დიდებული მხატვრები იყვნენ, მაგრამ ისე გაქრნენ, რომ მათი ვინაობა მხოლოდ ნაქსოვზე მიწერილ ამონაქარგითღა ვიცით . . . შენ კი, ელენე, ხატე, ხშირად ხატე. . . თელავი და ალაზნის ველი თავის მხატვარს ელოდება.“² თავის პირველ მასწავლებელად ე. ახვლედიანი შალვა ქართველიშვილს აღიარებდა და მოგონებებში ყოველთვის განსაკუთრებული სიტბოთი იხსენებდა ამ ადამიანს.³ პროფესიით იურისტმა, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტმა შ. ქართველიშვილმა უდიდესი ზეგავლენა იქონია ე. ახვლედიანის ესთეტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. არდადეგების დროს, როცა იგი თბილისიდან მშობლიურ თელავში ჩადიოდა, ელენესა და მის თანატოლ ბავშვებს გატაცებით უხატავდა კარიკატურებსა და პატარა ჟანრულ სცენებს – „კურტნიან მუშას, უზარმაზარ კარადას რომ მიათრეეს, ვირს, რომლის ხურჯინიდან მოჩანს კახური პური,

დაკლული ქათმები; ჩარდახიან ურემს, ქალებს, რომლებიც თათარას ხარშავენ, რეცხავენ სარეცხს.“⁴⁴ ბუნებასთან, ტრადიციულ ყოფასთან უშუალო შეხებამ და მისი ცოცხლად ასახვის (ჩახატვის) პროცესის ხილვამ არსებითი როლი შეასრულა ე. ახვლედიანის შემოქმედების ძირითადი მოტივების განსაზღვრაში. ამასთან, როგორც თელავის პერიოდის მოგონებებიდან ჩანს, შ. ქართველიშვილი არ იფარგლებოდა მხოლოდ ხატვის პროცესით – მას ბავშვები ფეხით დაჰყავდა ხუროთმოძღვრული ძეგლების სანახავად, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა მხატვრის მეხსიერებაში. „ჩემი პირველი მასწავლებელი, რასაკვირველია, შალვა იყო. იმან ჩამინერგა სიყვარული ბუნებისა, ჩვენი ხალხისა, ქართული ხუროთმოძღვრებისა.“⁴⁵

შალვა ქართველიშვილთან ურთიერთობითა და ვასილ ბარნოვის შექებით გათამამებული ელიჩკა გაბედულად აგრძელებს ხატვას. რამდენიმე ოჯახში (ქ. ვარდიაშვილი, ნ. მამინაიშვილი და სხვ.) მივაკვლიეთ ელენეს მიერ თელავში გაჩუქებულ ბავშვურ, უკვე ფერგადასულ ნამუშევრებს, რომლებსაც დღემდე ინახავენ, როგორც საოჯახო რელიქვიას.

ელიჩკა თავისი მეგობრის – ანა ვარდიაშვილის, ოჯახის ხშირი სტუმარია კახეთის კოლორიტულ სოფელ საბუეში. ა. ვარდიაშვილის პირად არქივში დაცულია საინტერესო მოგონება ე. ახვლედიანის მიერ კედლის მოხატვის ფაქტის შესახებ (პროტესტის ნიშნად), რაც მხატვრის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად საინტერესო ეპიზოდს წარმოადგენს.

მოწაფეობის პერიოდში ე. ახვლედიანის პოპულარობაზე მეტყველებს კიდევ ერთი მოგონება: „სკოლაში ისე გამივარდა მხატვრის სახელი, რომ თანაკურსელები და უფროსკლასელები თავიანთ უბის წიგნაკებში (მაშინ მოდაში იყო ასეთი უბის წიგნაკები) სახსოვრად მხატვინებდნენ ხოლმე. ამასწინათ, თელავში დარია აბელიშვილმა მაჩვენა თავისი უბის წიგნაკი, სადაც ჩახატულია ზამთარი. ქვეშ კი მიწერილი ყოფილა „გიჟი ელიჩკა“... ეს ჩემი მაშინდელი მეტსახელი მაგ შეჩვენებულს წაუშლია, აქაოდა დღეს აღარ ეკადრება ცნობილ მხატვარსო, მოუჭრია ის ადგილი. ამის

გამო ჯერ გაეგებებოდა და მერე სურათს მივაწერე ჩემი ინიციალები.“⁶

თელავში გატარებული წლები ე. ახვლედიანისთვის დაუვიწყარი იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვობასთანაა დაკავშირებული. პირველად სწორედ აქ შეიგრძნო მან სამშობლოს სიყვარული, ტრადიციული ყოფის, ეთნიკური კულტურის თვითმყოფადობა და უნიკალურობა. აქ აღეძრა ბუნების „ხასიათის“ წვედომის, მისი თავისებურების გადმოცემის სურვილი, რასაც ხელს უწყობდა კახეთის მდიდარი ლანდშაფტური და არქიტექტურული პეიზაჟი. ალაზნის ველი იქცა მისი შთაგონების მარადიულ წყაროდ.

ე. ახვლედიანი ამაყოფიდა იმით, რომ ზედმიწევნით კარგად იცნობდა მშობლიურ ქალაქს.⁷ „თელავის პერიოდში“ განისაზღვრა უმნიშვნელოვანესი მიმართულება მხატვრის შემოქმედებაში – ძველი, წარმავალი ქალაქის თემა, რასაც თავად ე. ახვლედიანი მისი პედაგოგის – ვასილ ბარნოვის სახელს უკავშირებს.⁸ დროის დისტანცია გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ სწორედ „თელავის პერიოდში“ დევიდება მასში ეროვნული ცნობიერება, ხდება ცხოვრებისეული და შემოქმედებითი მრწამსის განსაზღვრა, ვინიდან ე. ახვლედიანის სინამდვილეში არსებობდა მეორე ძლიერი მომენტი: მამის რუსული განათლება, თბილისის ქალთა გიმნაზიაში რუსულენოვანი გარემოცვა და რუსულ ენაზე სწავლება, წინააღმდეგობათა შემცველი სოციალური გარემო და უახლესი სიტუაცია, რომელშიც ყალიბდებოდა მისი პიროვნება. ორი ძლიერი ტენდენცია – თბილისის გადაქცევა კოსმოპოლიტურ ქალაქად (რაც იმპერიის ინტერესს წარმოადგენდა და რომლის განხორციელებაში, ნებისთ თუ უნებლიედ, ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი მონაწილეობდა) და მეორე – ეროვნული სულისკვეთების აღზევება – ერთდროულად არსებობდა რეალურ სივრცეში. თვით მის ოჯახშიც კი შეინიშნებოდა ორივე ტენდენცია (ე. წ. „რუსული ხაზი“ და მამის გატაცება გენეტიკითა და ეთნოგრაფიით).

თავი II თბილისის ჰეროდი

დიმიტრი ახვლედიანი ოჯახთან ერთად თელავში 1911 წლამდე ცხოვრობდა. როცა თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, მას უკვე ხუთი შვილი ჰყავდა: ელენე, ნინო, ალექსანდრე, გიორგი და მაკო. მშობლებმა ელენე მიაბარეს ქალთა მეორე გიმნაზიაში. არაჩვეულებრივი გარეგნობის, პიროვნული თვისებებისა და არაორდინალური ხასიათის წყალობით გიმნაზიაში მისვლის პირველივე დღიდან იგი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ხშირად აწყობდა მუსიკალურ საღამოებს, კარგად მღეროდა, ცეკვავდა, ჰქონდა სპორტული მონაცემები (ჩოგბურთი, ჯირითი). მისი ახლობლებისა და გიმნაზიის დროინდელი მეგობრების მოგონებები აღსავსეა ხალისიანი ეპიზოდებით, რომლებშიც ცენტრალური ფიგურა ელენე ახვლედიანია. იმ პერიოდში გიმნაზიაში მოღვაწეობდა ნიკოლოზ სკლიფასოვსკი, რომელიც 1909 წელს ბათუმიდან მოუწვევიათ პედაგოგად. მისი წყალობით დიდი ყურადღება ეთმობოდა სახვითი ხელოვნების სწავლებას და ელენეც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ამ საგნის მიმართ – სიმწიფის ატესტატში ერთადერთი ხუთიანი ხატვაშია. ე. ახვლედიანის პირად არქივში ინახება მისი მამის წერილი, რომელშიც იგი ჰპირდება შეიღებს, რომ, თუ ელენე ყველა საგანს ისწავლის კარგად, თითოეული მათგანი დასაჩუქრდება. და-ძმანი დასდევდნენ ელიჩკას და ევედრებოდნენ, კარგად ესწავლა, – ვკითხულობთ უმცროსი დის, მაკო ახვლედიანის, მოგონებებში. ელენეს წარმატებით ჩაუბარებია გამოსაშვები გამოცდა ხატვაში უმცროსი დისადმი მიძღვნილი ნახატების სერიით, რომლიდანაც შემორჩენილია მხოლოდ ერთი – „მაკოს სძინავს“ (ინახება მხატვრის პირად არქივში). როგორც გიმნაზიისდროინდელი ამხანაგების მოგონებებიდან ირკვევა, გიმნაზიაში სუფევდა შემოქმედებითი ატმოსფერო, რაც მოსწავლეებს თავისუფალი აზროვნებისა და ქმედების საშუალებას აძლევდა. აქვე ხშირად

იმართებოდა გამოყენები, რომლებშიც ელენე აქტიურად მონაწილეობდა. თანაკურსელთა მოგონებებიდან აშკარად ჩანს, რომ უკვე გიმნაზიაში ელენე ავლენს დამოუკიდებელი, თამამი, ინიციატივიანი ადამიანის თვისებებს, რაც, თავის მხრივ საინტერესო ეპიზოდებით ავსებს ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელ საინფორმაციო ბაზას.

აღსანიშნავია, რომ გიმნაზიაში ელენეს მონაცემებს ყურადღებას აქცევს სკლიფასოვსკი, რომელიც იმავედროულად ცხოვრობდა ახელედნიანების მეზობლად, იმხანად ელისაბედის (ამჟამად – წინამძღვრიშვილის ქუჩაზე). ე. ახელედნიანის მამისეულ სახლში ირინა კალანდაძის (მხატვრის დის შვილის) კოლექციაში სხვა ნამუშევრებთან ერთად, ინახება სკლიფასოვსკისთან შესრულებული ადრეული ფერწერული ნამუშევარი („ნატურმორტი ქოთნით“).

1910 წელს, ნ. სკლიფასოვსკი ხსნის კერძო სტუდიას, სადაც ამეცადინებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს. სხვადასხვა დროს სტუდიაში სწავლობდნენ ირაკლი გამრეკელი, სოლიკო ვირსალაძე, სერგო ქობულაძე, ზიგმუნდ ვალიშევსკი, აპოლონ ქუთათელაძე, ბაჟბუქ-მელიქოვი, კირილე ზდანევიჩი და სხვ. მათ შორის აღმოჩნდა ელენეც, რომელიც მომავალში დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს მისგან შექმნილ ცოდნასა და სწავლების იმ მეთოდს, რომელიც ეფუძნებოდა ცოცხალ ნატურაზე მუშაობას, თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ერთობლიობას. ნ. სკლიფასოვსკი დიდ ყურადღებას უთმობდა ხელოვნების ისტორიის საკითხებს, აცნობდა მოსწავლეებს მსოფლიო ხელოვნების შედევრებს, ზრუნავდა იმაზე, რომ მათაც განეცადათ „ორიგინალებთან შეხვედრის“ სიამოვნება. ამისთვის სკლიფასოვსკის თავისი მოსწავლეები მოსკოვშიც კი წაუყვანია. შემდგომში ე. ახელედნიანი არაერთხელ გაიხსენებს მოსკოვურ ეპიზოდს და ვრუბელის ნამუშევრიდან მიღებულ შთაბეჭდილებას.⁹ ამ სტუდიაში მიღებული ცოდნა წარმოადგენდა ე. ახელედნიანის პროფესიული განათლების მყარ საფუძველს.

1916 წელს ე. ახელედნიანი ამთავრებს გიმნაზიას და იქვე იწყებს მუშაობას ხატვის პედაგოგად, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა სკლიფასოვსკის კერძო

სტუდიაში შექმნილმა გამოცდილებამ (სტუდიას, მხატვრის კვალიფიკაციით, 1918 წ. ამთავრებს). საგულისხმოა ერთი ფაქტი – სკლიფასოესკის სტუდიაში ასწავლიდა აგრეთვე ბორის ფოგელი, რომელთან ურთიერთობამაც გარკვეული როლი ითამაშა ე. ახვლედიანის შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში.

ე. ახვლედიანის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის, ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მანძი თბილისი იყო თავისი მჩქეფარე ცხოვრებით.

ევროპასა და რუსეთში მიმდინარე პროცესები თავისებურად აისახა საქართველოში. ამ თავისებურებას ისიც განსაზღვრავდა, რომ „ახალი ხელოვნების“ დამკვიდრება დაემთხვა ახალი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბების პროცესს. საყოველთაო ტენდენციების „ქართულ პრიზმაში“ არეკვლის მაჩვენებელია ისეთი ტერმინების დამკვიდრება, როგორცაა: „ქართული ავანგარდი“, „ქართული მოდერნიზმი“, „თბილისის არტერიუმი“ და ა. შ. ამას ხელს უწყობდა თბილისის ზოგადკავკასიურ ცენტრად ჩამოყალიბების ისტორიული პროცესები, ერთი მხრივ, და ქართული მხატვრული აზროვნების თავისებური უძველესი ზოგადსაკაცობრიო პლასტები, მეორე მხრივ.

მეფის რუსეთისთვის თბილისი იმპერიის აღმოსავლეთის (ან მისი სამხრეთის ნაწილის) ცენტრად მოიაზრებოდა, რამაც ქალაქს განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა. ეს განსაკუთრებულობა რამდენიმე ასპექტით ქალაქის ერთგვარ უნიკალ ურობასაც განაპირობებდა. კავკასიაში მეფისნაცვლის სატახტო ქალაქისთვის აუცილებელი ატრიბუტიკა ზოგადკავკასიური მნიშვნელობის შესაბამისი ინსტიტუციების (მეფისნაცვლის რეზიდენცია და კანცელარია, კავკასიის არმიის შტაბი, სხვა სამხედრო დაწესებულებები, სამეცნიერო, საგამომცემლო, სახელოვნებო, საგანმანათლებლო კერები) დაფუძნებას, მათთვის სათანადო შენობების აგებას და უცხოელ სპეციალისტთა მოზიდვას ითვალისწინებდა. აღნიშნულ დაკვეთაში მოიაზრებოდა როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში გავრცელებული მხატვრული ფორმების დამკვიდრება, ისე ხანგასმულად

ორიენტალისტური ელემენტების დანერგვა. ვახტანგ ბერიძის ფუნდამენტურ ნაშრომში „თბილისის ხუროთმოძღვრება“, რომელიც მდიდარ ისტორიულ, საარქივო და ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა, მოცემულია მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის საერო და საეკლესიო მშენებლობის ისტორია, არქიტექტურულ ფორმათა ანალიზი და ამ ფონზე – ქართული ხუროთმოძღვრების ძველი პლასტებისა და ორიენტალური ელემენტების ჭიდილი.

გარკვეული თვალსაზრისით, თბილისში ისტორიულად არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიოს აღმოსავლეთის ინტერესების ერთგვარი კონცენტრაციაც ხდებოდა. ამის გამოძახილი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისში თბილისის მუზეუმებში ქართული ხელოვნების ნიმუშებთან ერთად აღმოსავლური ხელოვნების უნიკალური და უმდიდრესი კოლექცია იყო დაუნჯებული, რაც აძლევდა საფუძველს დიმიტრი შევარდნაძეს, წამოეყენებინა „ქართული ლუერის“ დაარსების იდეა.

თბილისის ზოგება

აღმოსავლური ხელოვნების ისტორიული გავლენა და თბილისის მოსახლეობის არაეთგვაროვნება აადვილებდა კავკასიის სამეფისნაცვლო ცენტრის კოსმოპოლიტურ ქალაქად ჩამოყალიბებას და მასში ეთნიკური სიჭრელის აქტივიზაციას. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ქართული ხალხური ხელოვნების უმდიდრეს ტრადიციებზე დაფუძნებული, აღმოსავლურ-კავკასიური ელემენტებით შეჯერებული უნიკალური ქალაქური ფოლკლორი, რომელიც ამგვარი სპეციფიკური სინთეზით მხოლოდ თბილისისთვის არის დამახასიათებელი. აღნიშნული ფენომენი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით კოლორიტულად აქვს აღწერილი იოსებ გრიშაშვილს წიგნში „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, რომელიც 1928 წელს გამოიცა. ევროპული „როტონდებისა“ და „ჟოკეების“ ერთგვარ

პროტოტიპებად ჩნდებიან ავტორის მეხსიერებაში თბილისური ყავახანები, სადაც იმართებოდა როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ აშულთა პაექრობანი, რაც იმავდროულად თავისებურ საერთაშორისო თეატრალიზებულ სანახაობასაც წარმოადგენდა. სალონური ტიპის სანახაობას ენაცვლებოდა ქუნაში გამართული მოძრავი თეატრი, რომლის მსახიობები კვლავ აშულები იყვნენ. აღმოსავლეთიდან თბილისის ყავახანებში დაისადგურა ჩრდილების თეატრმა, რომელმაც განიცადა ფორმალური და თემატური სახეცვალება, კერძოდ, სპექტაკლიდან გამოიდევნა სცენები ყურანიდან და წმინდა ისლამურ რეპლიკებს ზოგადთბილისური სახე მიეცა და ბოლოს, ეს თეატრი ნამდვილ სატირულ თეატრად გადაიქცა.

ორიენტალიზაცია-კოსმოპოლიტიზაციას თან სდევდა ევროპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ტენდენციების გავრცელება თბილისზე:

- უკვე XIX საუკუნის II ნახევრიდან თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების არქიტექტურა მეტ-ნაკლები სისავსით ასახავს XIX საუკუნის დასავლური ხუროთმოძღვრების განვითარების გზებს. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისის არქიტექტურაში ჭარბობს რენესანსულ-ბაროკული ეკლექტიზმი, მოდერნი და ძველი ქართული ეროვნული მოტივების გამოყენების პირველი მაგალითები.

- XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული იქმნება პროფესიული სახელოვნებო - საგანმანათლებლო დაწესებულებები და გაერთიანებები, რომლებმაც მყარი ნიადაგი მოამზადეს შემდგომში ახალი ქართული სახვითი ხელოვნების ჩამოყალიბება-განვითარებისთვის.

- XX საუკუნის 10-იანი წლებისთვის დამახასიათებელია სამხატვრო ცხოვრებისა და საგამოყენო საქმიანობის აქტივიზაცია - სამხატვრო ჯგუფებისა და გაერთიანებების მრავალფეროვნება დაწყებული სალონური აკადემიზმის ტრადიციების ერთგული მხატვრებით და დასრულებული ავანგარდისტების ჯგუფით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1909 წელს თბილისში გამართულ თანამედროვე მოსკოველი მხატვრების გამოფენას და იმ ფაქტს, რომ უკვე 1911 წელს მარინეტის „ფუტურისმის მანიფესტს“ თბილისის არტისტული წრეები იცნობენ. 1917 წლისთვის კი თბილისი ფუტურისტი პოეტების თავშეყრის ადგილად იქცა. თანამედროვე ხელოვნების მიმდევარი პეტერბურგელი და მოსკოველი მხატვრების ლტოლვას თბილისისკენ აძლიერებდა ფიროსმანისა და ქართული ხალხური ხელოვნების ფენომენი. რუსი ნეოფუტურისტები აღიარებდნენ ნაივური, ხალხური და აღმოსავლური ხელოვნების კულტს და ისწრაფოდნენ სრულიად ახალი, განსაკუთრებული ფორმისა და მოვლენების წარმოჩენისკენ მხატვრობაში. ფიროსმანი მათთვის ნამდვილი მიზნება იყო. 1913 წელს პეტერბურგში გამართულ გამოფენაზე „Мишень“ ფიროსმანის 4 ნამუშევრის ექსპონირებით იწყება მისი საყოველთაო პოპულარიზაციის ხანა.

ეთნოგრაფიულ სურათებს, აღმოსავლურ ეგზოტიკას წამყვანი ადგილი უკავია XX საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ ევროპულ და რუს მხატვართა რეპერტუარში. ამ პერიოდის მხატვრული ძიებები საყოველთაო ხასიათს იძენს: –XX საუკუნის 10-იან წლებში მსოფლიო უკვე იცნობს ფიროსმანს;

– თბილისი ფუტურისტების ერთგვარ ცენტრად გადაიქცა: თბილისში გამოდის ალბომი „1918“ კრუჩონიხის, კამენსკის, ზდანევიჩის ლექსებითა და კოლაჟებით; იხსნება პოეტების სტუდია „ფანტასტიკური სამიკიტნო,“ რომლის კედლებს ხატავენ ლ. გუდიაშვილი, ი. ზდანევიჩი, ი. ნიკოლაძე, ი. დეგენი, ა. პეტრაკოვსკი და ს. სკრიპიცინი; იმართება მოსკოველი ფუტურისტების (მალევიჩი, გონჩაროვა, ლარიონოვი, როზანოვა და სხვ.) გამოფენა; იხსნება თეატრი-სტუდია „არგონავტების ნავი“ და არტისტული კაფე „ქიმერიონი“ (ს. სუდეიკინის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის მოხატულობით).

– 1918 წელს ბრუნდება საქართველოში დავით კაკაბაძე, რომელიც გიმნაზიებში ასწავლის ბუნებისმეტყველებასა და ხატვას, ქმნის ძველი თბილისის ჩანახატების სერიას, თავის შრომებში იხილავს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პლასტიკურ ძიებებს, საზღვრავს ქართული სახვითი

ხელოვნების მხატვრულ ამოცანებს. ამდენად, თბილისიც გამსჭვალულია თანამედროვე ხელოვნებისთვის დამახასიათებელი „სამხატვრო პრინციპებით“, რომლებსაც დაეით კაკაბაძე „უნივერსალურს“ უწოდებს.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მოვლენებისა, რომლითაც დუღდა კულტურის თაზისად გადაქცეული თბილისი, რომელსაც გრიგოლ რობაქიძემ მშფოთვარე და ბობოქარი არტისტული ცხოვრების გამო „ფანტასტიკური ქალაქი“ უწოდა. ეს ის პერიოდია, როცა, ტიცციან ტაბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აკადემიკოსი პოეტი ივ. ბუნინი ამოქნარებს და ამბობს: „ღმერთო, ნეტავ დამსვა საქართველოშიო“, ხოლო გრიგოლ რობაქიძე აცხადებს: „ტფილისი ცხოვრობს მსოფლიოს ესთეტიკური აღქმით“.

ე. ახვლედიანის ადრეული პერიოდის შესწავლის პროცესში მოვიძიეთ 1919 წლის ისტორიულ გამოყენამდე მხატვრის მიერ შესრულებული უცნობი ნამუშევრები, რომლებშიც გამოვლინდა ის ტენდენციები, რითაც ნიშანდობლივი იყო იმჟამინდელი მხატვრული ცხოვრება.¹⁰ მხედველობაში გვაქვს თემატიკა და ფორმალური ძიებები. აღსანიშნავია, რომ ე. ახვლედიანი ამ თვალსაზრისით ჩნდება არა როგორც უბრალო მიმბაძველი, არამედ თავისი ინდივიდუალური „შტრიხის“ შემტანი მთელი ამ „უნივერსალური ძიებების ჯაჭვში“.¹¹ სამწუხაროდ, მისი შემოქმედების ადრეული პერიოდის აღნიშნული „ძიებები“ ე. ახვლედიანს აღარ გაუმეორებია და ამიტომ ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

დიმიტრი შევარდნაძე და მისი ნრე

უმნიშვნელოვანეს მოვლენას არა მარტო აღნიშნული პერიოდის, არამედ ზოგადად ქართული კულტურის ისტორიაში წარმოადგენს მიუნჰენიდან დაბრუნებული დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით 1916 წლიდან განხორციელებული ღონისძიებები საქართველოში და

ევროპულ პოეზიასთან წილნაყარ ცისფერყანწელთა მოღვაწეობა. ურთიერთობა დ. შვეარდნაძესთან და ცისფერყანწელებთან იყო მეორე მძლავრი იმპულსი (თელაგის მერე) ე. ახვლედიანის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. დ. შვეარდნაძე და მისი წრე თბილისს განიხილავს როგორც უნიკალურ ქალაქს, რომელსაც ყველა წინაპირობა აქვს იმისთვის, რომ პარიზის ანალოგიურად გადაიქცეს ხელოვნებისა და კულტურის ერთგვარ ცენტრად, რომელმაც შემოქმედებითი იმპულსი მისცა სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლებს.

პარიზთან და „პარიზის სკოლასთან“ ასოციაციებს თბილისის იწვევდა:

- არტისტული კლუბებითა და კაფეებით, სადაც ეწყობოდა დისკუსიები, ლექციები, პოეზიის საღამოები;

- თანამედროვე ხელოვნებისადმი მიძღვნილი ქართულენოვანი და რუსულენოვანი გამოცემებით, პუბლიკაციებით;

- სამხატვრო ცხოვრებაში მწერალთა და პოეტთა როლის აქტივიზაციით;

- „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მიერ ახალი ხელოვნების განვითარებისა და მისი მოდერნიზაციისთვის აუცილებელი გარემოს შექმნით (სამუზეუმო ფონდები, სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები, ახალგაზრდა მხატვრების საზღვარგარეთ გაგზავნა პროფესიული დაოსტატების მიზნით და სხვ.). მოკლედ, „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ საქმიანობიდან გამომდინარე, ჩანს მცდელობა მყარი საფუძვლის შექმნისა ცნების „თბილისის სკოლა“ დასამკვიდრებლად, რაც რეალურად არსებობდა თბილისის სინამდვილეში.

სწორედ ამ პერიოდში ელენე ახვლედიანი გამოდის ასპარეზზე და ერთვება „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ საქმიანობაში. იმ წლების სულისკვეთებასა და მხატვრული აზროვნების პრობლემებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა დავით კაკაბაძის წერილები, გამოქვეყნებული 1919 წელს ჟურნალში „მნათობი“. იგი წარმოაჩენს საპროგრამო პოსტულატებს, რომლითაც უნდა

ეხელმძღვანელა ახალ ქართულ ხელოვნებას. ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიო მოვლენების ორგანული მოღიანობა განხილულია ქართული ხელოვნების, კერძოდ, ძველი მწერლობის, ხუროთმოძღვრების. მონუმენტური ფერწერის მაგალითებზე. მხატვრობის აღორძინების საფუძველად დ. კაკაბაძეს მიაჩნია ქართული მხატვრობის „ენის“ მონახვა, რომელიც, მისი თქმით, თითქმის დაკარგულია და შემორჩენილია მხოლოდ ხალხურ ხელოვნებაში.

ეროვნული კულტურისადმი, ძველი ქართული ხელოვნების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და გამომწვეურება-შესწავლისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერებამ მწვერვალს მიაღწია XX საუკუნის დასაწყისში. თუ მანამდე ქართული პროფესიული კადრების სიმცირის გამო ქართული ხელოვნების ძეგლებზე უმთავრესად არაქართველები მუშაობდნენ, XX საუკუნის 10-იანი წლებიდან აშკარად იკვეთება ქართველ მხატვართა როლი სამუზეუმო საქმიანობასა და სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციების მუშაობაში.

ამრიგად, დიმიტრი შევარდნაძისა და მისი წრის სამოქმედო პროგრამა ითვალისწინებდა ქართველ მხატვართა აქტიურ და სრულფასოვან ჩართვას ეროვნული კულტურისა და ხელოვნების აღორძინება-განვითარების საყოველთაო პროცესში.

საგულისხმოა, რომ ე. ახვლედიანის ბიოგრაფიაში 1998 წლამდე არ იყო დაფიქსირებული მისი კავშირი დიმიტრი შევარდნაძის წრესთან და, შესაბამისად, აღნიშნულ მოვლენებთან.¹² ამის ახსნა უნდა მოხდეს, ალბათ, იმით, რომ დიმიტრი შევარდნაძის, როგორც რეპრესირებულის, ხსენებაც კი აკრძალული იყო. როგორც გაირკვა, ე. ახვლედიანი 1919 წლამდე, ანუ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პირველად გაიჟღერა მისმა სახელმა პრესაში, მხატვართა საზოგადოების წევრთა რიცხვშია და მისი თაობის მხატვრებთან ერთად აქტიურადაა ჩაბმული სამხატვრო ცხოვრებაში. 1916 წლისთვის ქართველ ხელოვანთა რიგებში ოცდაათამდე მხატვარი ითვლებოდა. მათ შორისაა ახალი თაობის წარმომადგენელი ე. ახვლედიანი (დ. შევარდნაძესთან, აღ. ციმაკურიძესთან, დ.

კაკაბაძესთან, ღ. გუდიაშვილთან, შ. ქიქოძესთან, მ. ჭიაურელთან, ქ. მაღალაშვილთან და სხვებთან ერთად).¹³ აქედან გამომდინარე, „ოთხეულის“ კავშირს არა უგვიანეს 1916 წ. ჩაეყარა საფუძველი და არა უფრო მოგვიანებით, როგორც ცნობილი იყო სხვა ოფიციალური წყაროებიდან. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 1919 წელს, საზღვარგარეთ სასწავლებლად გასაგზავნ სტიპენდიანტთა 11 კაციან სიას, რომელშიც ე. ახვლედიანიცაა, ხელს აწერს დ. შევარდნაძე.¹⁴ მათ მეგობრობაზე მეტყველებს 1920 წელს შ. ქიქოძის მიერ პარიზიდან დ. შევარდნაძისადმი გამოგზავნილი წერილის შემდეგი ფრაზა: „მომიკითხე სიყვარულით ქეთო, ელიჩკა...“¹⁵

1919 წელს ელენე ახვლედიანი მონაწილეობს ქართველ მხატვართა პირველ, ისტორიულ გამოფენაში უფროსი თაობის გამოჩენილ და ახალგაზრდა, მაგრამ ცნობილ მხატვრებთან ერთად. ე. ახვლედიანს ეხედავთ აგრეთვე ამავე წელს გამართულ მე-2 გამოფენის მონაწილეთა შორის.

20-იან წლებში შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიუიზაციაზე მეტყველებს 1921 წლის 25 მაისს ჩატარებული სრულიად საქართველოს მხატვართა პირველი კონფერენციის რეზოლუცია, რომელსაც ხელს აწერს ხელოვანთა კავშირის ათი წევრი და მათ შორის – ე. ახვლედიანი.¹⁶ 1922 წელს კი ე. ახვლედიანი „ქართველ მხატვართა კავშირის გამგეობის წევრია“.¹⁷ ამავე პერიოდში ე. ახვლედიანი იწყებს მუშაობას თბილისის ძველი უბნების ფიქსირებაზე მხატვრების ჯგუფთან ერთად. აღნიშნულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ბორის ფოგელი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში პროფესიული სამხატვრო განათლების კერების შექმნისა და ძველი თბილისის თემაზე მომუშავე პეიზაჟისტთა სკოლის განვითარების საქმეში.¹⁸

ე. ახვლედიანის მუშაობას ფოგელის ჯგუფთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში იკვეთება მისი შემოქმედების წამყვან თემად „ძველი თბილისი“. ფოგელის ექსპედიციის მიზანი კი, იყო ძველი უბნებისა და კვარტლების დოკუმენტური ფიქსაცია.¹⁹ მართალია, ფოგელის ჯგუფის საქმიანობა ამ მიმართებით

უფრო აქტიური და ნაყოფიერია 20-იანი წლების მე-2 ნახევარში (ანუ იმ პერიოდში, როცა ე. ახელედიანი პარიზში იმყოფება), მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა აღნიშნულ ჯგუფთან ე. ახელედიანის მუშაობის ფაქტი სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებამდე. საგულისხმოა ისიც, რომ მას სტუდენტობის პერიოდშიც არ შეუწყვეტია მუშაობა პლენერზე ფოგელთან.

1922 წელს, ე. ახელედიანი ასლადგახსნილი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტია. იგი სწავლობს ფერწერის ფაკულტეტზე გიგო გაბაშვილის კლასში, მაგრამ აკადემიაში მან დიდხანს ვერ „გაძლო“. ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს: «Уже тогда, проявляя независимость и «строптивость» характера, не всегда подчиняется указаниям педагогов».²⁰

თავი III პარიზის პერიოდი

აღნიშნული პერიოდის დასახელება პირობითია, ეინაიდან არ შემოიფარგლება მხოლოდ პარიზში ყოფნით. 1919 წ. ეროვნული მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1922 წელს, როცა ე. ახვლედიანი, როგორც გ. გაბაშვილის სტიპენდიატი სწავლის გასაგრძელებლად მიავლინეს ევროპაში (პარიზში). ამავე წელს იგი ცოლად მიჰყვება აპოლონ კაკაბაძეს. აღნიშნული ქორწინების შესახებ ე. ახვლედიანის ბიოგრაფიულ მასალებში ცნობები თითქმის არ მოიპოვება, შესაძლოა, იმ მოტივით, რომ ქორწინება ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. მხოლოდ მხატვრის გარდაცვალების შემდეგ ჩნდება პრესაში ცნობები მისი მეუღლის შესახებ და ისიც - ძუნწი. ე. ახვლედიანის ახლობლების მოგონებებიდან და პირად არქივში დაცული მასალებიდან ცნობილი ხდება, რომ მათ ქაშუეთში დაუწერიათ ჯვარი. მხატვრის დის შვილის - ი. კალანდაძის, მოგონებებში ვკითხულობთ: «Свадьба Элички с Аполлоном была великолепна, как вспоминает Мако (ყლენე ახვლედიანის უმცროსი და - ლ.ბ.): вереница фатонов направилась в Кашветскую церковь и там произошло венчание, затем все приехали домой и был пир счастья. Много известных людей украшали этот праздник; читал стихи с посвящением поэт Иосиф Гришашвили, пела Кето Джапаридзе, присутствовало все замечательное родство и блистательные знаменитости Тбилиси»²¹. შემორჩენილია პარიზის პერიოდში შესრულებული ა. კაკაბაძის დაუსრულებელი პორტრეტი, რომელიც მისი ქალიშვილის - მაია კაკაბაძის, საკუთრებაა.²²

1922 წელს ე. ახვლედიანი მიემგზავრება არა საფრანგეთში, არამედ იტალიაში. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ა. კაკაბაძე მიავლინეს იტალიაში. ამ მხრივ საინტერესოა გიორგი ჯავახიშვილის მიერ ჩაწერილი ე. ახვლედიანის მოგონება, რომელიც იმავდროულად „ცისფერყანწელებთან“ ხანგრძლივ ურთიერთობაზეც მიუთითებს: „პაოლოსადმი ჩემი სიყვარული ლექსთან ერთად გაადრმავა მისმა იშვიათმა ნიჭმა

მხატვრობაში. მას თეორიული განათლებაც ჰქონდა. პარიზში სწავლობდა ლუერთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში, იცნობდა პიკასოს, მოდილიანის, აპოლინერს... სწორედ პაოლოს მოწადინებით წავედი იტალიასა და პარიზში... ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ჩემი მეუღლე აპოლონ კაკაბაძე მიაველინეს იტალიაში და შემდეგ იქიდან 1924 წელს გადავედით პარიზში.“ ამავე პუბლიკაციიდან ვივებთ, რომ პაოლო იაშვილი მეუღლეს – აპოლონ კაკაბაძეს, გაუცნია მისთვის.²³

ე. ახვლედიანმა იტალიაში თითქმის ორი წელი დაჰყო. ცხოვრობდა რომში. ფლორენციაში, მილანში, ვენეციაში, სან-რემოში. შემორჩენილია იტალიური ჩანახატები, რომლებიც ავლენს ვამუდმებულ დაკვირვებებს, ახალი, მანამდე უცნობი სამყაროს აღბეჭდვის სურვილს და უნარ-ჩვევებს, რომლებიც სკლიფასოვსკის სტუდიაში და ფოგელის ექსპედიციაში ჩამოუყალიბდა პლენერზე მუშაობის დროს. საქორწინო მოგზაურობა იტალიაში ე. ახვლედიანისთვის იყო მისი ბიოგრაფიის ჩვეულებრივი „სამუშაო ეპიზოდი“, რომელშიც ვერ იმეტებდა დროს ცხოვრებისეული, ყოფითი დეტალებისთვის. იტალიაში ყოფნის ხანმოკლე პერიოდი მან მაქსიმალურად გამოიყენა იტალიური ენის შესასწავლად, მუზეუმებისა და გამოფენების დასათვალიერებლად და, ბუნებრივია, ურბანისტული პეიზაჟის იმ დამახასიათებელი მომენტების აღსაბეჭდად, რომლებიც მას ყოველთვის ხიბლავდა. მხატვრის სახლ-მუზეუმში ინახება XV–XVI სს. ფერმწერ ანდრეა სოლარიოსადმი მიძღვნილი წიგნი, რომელზეც შემორჩენილია იტალიაში ყოფნის დროს გაკეთებული მიწაწერი: «Ох, какая я идиотка, прости Господи! Сижу у портного и жду мою жакетку, читаю эту книгу и от радости, что почти всё поняла, чуть не расцеловала портного! И хочется смотреть, и зло забирает – как проходит время, а я не делаю ничего, а как хочется иногда работать».

განსაკუთრებული ლტოლვა ე. ახვლედიანს მაინც პარიზისკენ ჰქონდა.

XX საუკუნის პარიზი - „მსოფლიოს დედაქალაქად წოდებული“

სახელოვნებო ჟურნალ-გაზეთების, საგამოფენო დარბაზებისა და გალერეების სიმრავლე, მთელი მსოფლიოდან ჩასული არტისტებით დასახლებული მხატვართა უბნებისა და სახელოსნოების სიჭრელე, მათი სადისკუსიო კაფეების მიმართულებების ზრდა და ა. შ. ახალი იმპულსების მიმცემი აღმოჩნდა ადგილობრივი სკოლებისთვის. არტის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ პარიზის ჰეგემონია მსოფლიო აზროვნებაზე შეირყა, თუმცაღა მას არ დაუკარგავს მსოფლიო მიზიდულობის ძალა. გაიზარდა უცხოელთა მონაწილეობის პროცენტი პარიზის საგამოფენო ცხოვრებაში, რასაც შესაბამისი რეაქცია მოჰყვა: „დამოუკიდებელთა საზოგადოების“ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სხვადასხვა ნაციონალურ სექციად საზოგადოების დაყოფის თაობაზე, რაც საფრანგეთის ხელოვნების კოსმოპოლიტიზაციის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად აღიქმებოდა. უკვე 20-იან წლებში კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ფერწერის ერთადერთი ნაციონალური სკოლა ომის შემდგომ პერიოდში შეიმჩნევა მხოლოდ გერმანიაში ექსპრესიონიზმის სახით. ეროვნული სკოლის სახის შენარჩუნებისკენ მიმართულ დემარშად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე „დამოუკიდებელთა სალონის“ 37-ე და 38-ე გამოფენებისადმი მიძღვნილი ფრანგული პუბლიკაციები, საიდანაც ვიგებთ, რომ საორგანიზაციო კომიტეტის ზოგიერთი წევრი კატეგორიულად მოითხოვს ნამუშევრების კლასიფიკაციას არა ალფაბეტის, არამედ მიმდინარეობის მიხედვით, რასაც უნდა მოჰყოლოდა ყველაზე საინტერესო ნამუშევრების თავმოყრა სულ რამდენიმე დარბაზში. ეს სწორედ ის გამოფენებია, რომლებშიც მონაწილეობდა ე. ახელედიანი. XX საუკუნის პირველი ორი დეკადისთვის დამახასიათებელია დიდი ყურადღება პრიმიტივისტების მიმართ, სწრაფვა გულუბრყვილობასა და ბავშვის ნახატის იმიტაციისკენ, ლტოლვა აფრიკული და აღმოსავლური ხელოვნებისკენ, რაც გამოწვეული იყო „ბებური ევროპის“

„გადაშენების გზაზე მდგარი“ კულტურის განახლებისა და გამოცოცხლების სურვილით. დიდი იყო ინტერესი თვითნასწავლი მხატვრის, ანრი რუსოს, მიმართ (გარდაიცვალა 1910 წელს), რომელიც დაკავშირებული იყო ფოვისტებთან (დერენის ჯგუფი). მის შემოქმედებას იმთავითვე მაღალ შეფასებას აძლევდნენ პიკასო, აპოლინერი, სალმონი.

ბავშვების ნამუშევრები, ნაიური ხელოვნება და ხალხური შემოქმედება იზიდავდა აღნიშნული პერიოდის მხატვრებს აზრის უბრალოებით, გამოსახვის საშუალებათა ლაკონიზმითა და სიმარტივით. ამდენად, სრულიად ლოგიკურია სწორედ ამ პერიოდში უიროსმანის ფენომენით დაინტერესება, ვინაიდან მის ნამუშევრებში შერწყმული იყო ევროპაში მოდურად მიჩნეული ყველა კომპონენტი – ეგზოტიკური ქვეყნის თვითნასწავლი მხატვარი, რომლის შემოქმედება ხალხური ხელოვნების წიაღიდან მომდინარეობდა.

XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში იყვნენ ისეთი მხატვრებიც, რომლებსაც იზიდავდნენ ძველი ოსტატები. ე. ახვლედიანი არც ამ მხრივ ჩამორჩება „ევროპულ კოლეგებს“ – ადრეული პერიოდის ნამუშევრებში აშკარაა ძველი ოსტატების წერის მანერით დაინტერესებაც.

არტის კრიტიკოსების ამპლუაში ჩნდებიან მწერლები, პოეტები, რომლებიც მხატვრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ პარიზული ბოჰემისთვის დამახასიათებელ მოვლენებში: 1905 წელს ფუძნდება სახელოსნოები „La ruche“ (სკა), სადაც ცხოვრობდა მხატვრების მთელი კოლონია და მასთან დაახლოებული მწერლები, მათ შორის: მაქს ჟაკობი, აპოლინერი, მორის რეინალი და სხვ.; პიკასომ და მისმა წრემ საყოველთაო პოპულარობა მოუტანა „Bateau lavoir“–ს, რომელიც პარიზის სამხატვრო ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა; 1925 წელს დაფუძნდა ჟურნალი „Art vivant“, რომელიც მიზნად ისახავდა მიმდინარე სამხატვრო ცხოვრების აქტიურ გაშუქებას.

ელენე ახვლედიანი პარიზში

1924 წელს ე. ახვლედიანი ჩადის პარიზში, სადაც მას დახედნენ დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი ქ. მაღალაშვილი.²⁴ იმ პერიოდში, როცა საქართველოში, ქალაქური ბოჰემის მეხოტბენი იკვლევენ თბილისის ფენომენს, ე. ახვლედიანი თავის ქართველ კოლეგებთან ერთად ჩაერთო „მსოფლიო აზროვნების“ ორომტრიალში, რომლის ერთ-ერთი ძლიერი მუხტი „ადმოსავლეთის ციებ-ციხელება“ იყო. ორიენტალიზმში მოიაზრებოდა ყოველივე არასტანდარტული, არაორდინალური, უცხო, უცნაური, უცნობი, ეგზოტიკური და შესასწავლ-გასაცნობიერებელი. ამ თვალსაზრისით ე. ახვლედიანი, მისი შემოქმედება, ეთნიკური და ინდივიდუალური ფსიქოტიპი, სრულად „ჩაჯდა“ „ეგზოტიკურის“ პარამეტრებში. მეორე მომენტი, რომლითაც ე. ახვლედიანი ესადაგებოდა „უნივერსალურ ტენდენციებს“, იყო მისი დამოკიდებულება სამხატვრო განათლების მიმართ. ე. ახვლედიანის პროფესიული დაოსტატების გზა თითქმის სტერეოტიპულია ბევრი იმ მხატვრის ბიოგრაფიისა, რომელმაც XX საუკუნის „ახალი ხელოვნების“ ისტორია შექმნა. კერძოდ: არანაირი აკადემიური სკოლა (ზოგი მას საერთოდ უარყოფს, როგორც მოძველებულს და ახლებური პლასტიკური აზროვნების შემაფერხებელ ფაქტორს; ზოგი შეგნებულად წყვეტს სწავლის პროცესს, ნაწილი კი იბრძვის სწავლების ახლებური პრინციპებისა და მეთოდების დასამკვიდრებლად); აკადემიური სამხატვრო განათლება ე. ახვლედიანს ისევე, როგორც დ. კაკაბაძეს არ მიუღია. მან მხოლოდ რამდენიმე თვე ისწავლა სამხატვრო აკადემიაში გიგო გაბაშვილის კლასში (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისში ახლადგახსნილი სამხატვრო აკადემია (1922 წ.) იმთავითვე დაკომპლექტდა პროფესორ-მასწავლებელთა ისეთი კადრებით, რომლებიც თავად იყვნენ მსოფლიოს არტისტულ სამყაროში მიმდინარე პროცესების თანაზიარნი). შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ქართველი კოლეგების რჩევით, ე. ახვლედიანმა პარიზში მიაშურა იმ ტიპის სამხატვრო სკოლას, რომელიც ყველაზე მეტად ესადაგებოდა

მის ინტერესებს და სარგებლობას მოუტანდა პროფესიული თეატლსაზრისით. ასეთი იყო კოლაროსის აკადემიის „უპროფესორო სტუდია“, რომელიც საშუალებას აძლევდა პროფესიონალ მხატვრებს, დაოსტატებულიყვნენ სწრაფი ჩანახატების შესრულებაში. ე. ახვლედიანი ინტენსიურად მუშაობს კოლაროსის აკადემიაში. როცა მოდელის ხატვით იღლება, იქვე აკეთებს კოლეგების ჩანახატებს, რისი საშუალებაც ჰქონდა სტუდიის მრავალრიცხოვნობის გამო (მხატვრის სახელოსნოში ინახება კოლაროსის აკადემიაში შესრულებული კროკები, რომლებსაც თვითონ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა)²⁵ მესამე „უნივერსალური მომენტი“ – დამოკიდებულება იტალიასთან. ე. ახვლედიანისთვის ეს არის მუზეუმი, სადაც შესაძლებელია კლასიკური მემკვიდრეობის გაცნობა, დიდი ოსტატების ორიგინალებთან შეხვედრა. გარდა ამისა, მას აინტერესებს საკუთარი, „ახვლედიანისეული რაკურსით“ დანახული იტალია – არა გრანდიოზული პალაცოები და მოედნები, არამედ ინტიმური კუთხეები. საგულისხმოა, რომ მისი თანამემამულე იაკობ ნიკოლაძე იტალიაში ყოფნის დროს მიქელანჯელოს „მონების“ ხილვისას, შეიგრძნობს პირველად, რომ გზა მისი შემდგომი პროფესიული სრულყოფისა არის პარიზი ; დავით კაკაბაძე ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს, ოცნებობდა პარიზზე და ამის შესახებ წერდა საქართველოში მამას. ის კი გაკვირვებული ეკითხებოდა, რატომ მაინცადამაინც პარიზში, როცა მას გაუგია, რომ ხელოვნებას ასწავლიან იტალიაში. დ. კაკაბაძემ განუმარტა საპასუხო წერილში, რომ „ასე იყო უწინ, მაგრამ ახლა ფერწერის ნამდვილი ცენტრი პარიზია“;²⁶ ე. წ. „უნივერსალური მომენტების“ ისევე, როგორც უნიკალური პიროვნული თვისებების ჩამონათვალი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ესაა: ეტიუდებზე მუშაობა და აუტოშტუდირება, გამოფენების სიყვარული და მათი აუცილებლობის აღიარება, საკუთარი ნაწარმოებისა და აზრის პრეზენტირების სითამამე, კომუნიკაბელობა, გაბედულება, საკუთარი შესაძლებლობების გააზრება და მრავალი სხვა.

პარიზში ე. ახვლედიანი ცხოვრობდა ვაჟების ქუჩაზე, კაფე „როტონდასთან“, რომელიც ახლოს იყო კოლაროსის აკადემიასთან (გრანდ-შომიერის ქუჩაზე). აქ, ამ კაფეში, მონპარნასისა და რასპაის ბულვარების გზაჯვარედინზე, თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მხატვრები. სწორედ ამ კაფეში აჩუქა მოდილიანიმ თავისი ორი ესკიზი ლადო გუდიაშვილს. „როტონდაში“ იკრიბებოდნენ პიკასო, მოდილიანი, რივერა, აპოლინერი, ლეჟე, დერენი, ფუჟეტა. „როტონდასთანაა“ გადაღებული ფოტო, რომელზეც აღბეჭდილნი არიან ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ახვლედიანი პარიზს თავიდანვე „მოერგო“, მიუხედავად იმისა, რომ ეს არც ისე იოლი იყო. ლადო გუდიაშვილი იხსენებს: „ძალიან ძნელია კაცი პარიზში წესიერად მოეწყოს, ისიც ისეთი კაცი, ხელოვნებაში რომ ეძებს ბედს. იმ დროს ფრანგებს ორმოცი ათასი მარტო თავისი მხატვარი ჰყავდათ, სამოცი ათასი კი ჩამოსული. იყო ბრძოლა არსებობისათვის, სახელისათვის, ადგილისათვის... გაღერებებსა და სალონებში ეწყობოდა გამოფენები, საზოგადოება ხარბად ეტანებოდა ყოველივე ახალს, საინტერესოს.“²⁷ ამდენად, პარიზში ჩასულ ახალგაზრდა მხატვარს დიდი გამოცდა ელოდა. ე. ახვლედიანის მიერ პარიზში გატარებული წლები ხასიათდება ინტენსიური მუშაობითა და შემოქმედებითი აქტივობით. 1925-27 წლებში იგი „დამოუკიდებელთა სალონის“ („Le salon des Indépendants“) 36-ე, 37-ე და 38-ე გამოფენების მონაწილეა. ასევე იფინება მისი ნამუშევრები „საშემოდგომო სალონში“ („Salon d'Automne“), ხოლო გაღერებაში „ოთხი გზა“ („Quatre Chemins“) 1926 წელს იმართება ე. ახვლედიანის პირველი პერსონალური გამოფენა. პარიზის პრესა სათანადოდ აფასებს მის შემოქმედებას. პარიზთან მიმართებაში ე. ახვლედიანს თამაზად შეეძლო გაემეორებინა სომერსეტ მოემის სიტყვები: „ეს არის საოცარი ქალაქი. იგი განიჭებს განცდას, რომ იქ შეგიძლია, სისრულეში მოიყვანო შენი აზრები. ასე მგონია, იქ შეეძლებ მივხვდეთ, როგორ ვიცხოვრო შემდგომში“.²⁸ სწორედ პარიზში ირწმუნა

ე. ახვლედიანმა თავისი შესაძლებლობები. საგულისხმოა, რომ ამისთვის მხატვარი რთულ გზას დაადგა. იმჟამად პარიზში მოქმედი მრავალრიცხოვანი გალერეებიდან და საგამოფენო დარბაზებიდან მან აირჩია ყველაზე პრესტიჟული და პრეტენზიული, რომელთა მიმართაც კრიტიკა განსაკუთრებით დაუნდობელი იყო, ხოლო საზოგადოების მხრიდან ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმები – მკაცრი. წარმატების საიდუმლო კი მდგომარეობდა იმაში, რომ მისი შემოქმედება და ქმედება არ იყო მოჩვენებითი. იგი წარდგა პარიზის წინაშე ისეთი, როგორც იყო. ამას ადასტურებენ მისი თანამემამულენი თავის მოგონებებში. ტანია კაკაბაძეს (ე. ახვლედიანის მეუღლის ა. კაკაბაძის ძმის ცოლს), რომელიც იმხანად პარიზში იმყოფებოდა, დიდი მეგობრობა აკავშირებდა ქართველ მხატვრებთან.²⁹ მის მოგონებებს მკაფიო შტრიხები შეაქვს ე. ახვლედიანის და ზოგადად „ოთხეულის“ ფსიქოლოგიურ პორტრეტებში.

1926 წელს სალონში „Quatre Chemins“ იმართება ე. ახვლედიანის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელიც მრავალმა გამოჩენილმა მხატვარმა და კრიტიკოსმა ინახულა. მათ შორის იყო პიკასო, რომელსაც განსაკუთრებით აღუნიშნავს სურათი „კახეთი. ზამთარი“ და მოწონების ნიშნად, თავისი ნამუშევარი უჩუქებია ქართველი მხატვრისთვის. ამავე გამოფენიდან შეუძენია ე. ახვლედიანის სურათები პოლ სინიაკს (როგორც მხატვრის სახლ-მუზეუმის არქივში დაცული მასალებიდან ჩანს). ამის შესახებ იუწყება ბარათი, რომელსაც ხელს აწერს სინიაკი: „თუკი ულენე ახვლედიანი ჩემთვის გაიმეტებს რომელიმე თავის სურათს, მაშინ კატალოგში ამ სურათს საგანგებო ნიშანი გაუკეთოს. ამით მივხვდები, რომ ეს სურათი მე მეკუთვნის. გადაეცით, რომ მისი სურათის შექმნა უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებს.“ როგორც ირკვევა, ე. ახვლედიანმა სურათი უსახსოვრა, მაგრამ სინიაკს უთქვამს: „მხატვარმა უნდა იცოდეს სურათის არა მარტო შექმნა, არამედ დაფასებაც“ და 400 ფრანკი გაუგზავნია. მხატვრის არქივში დაცული სხვა ბარათები ცხადყოფს, რომ მისი ნამუშევრების შექმნის მსურველები გაცილებით მეტ თანხასაც სთავაზობენ ე. ახვლედიანს.

ასე მაგალითად, კოლექციონერ დიუბუას მისგან ორი ნამუშევარი შეუძენია 4000 ფრანკად. როგორც ჩანს, ეს სწორედ ის დიუბუაა, რომლის ინიციატივითაც ე. ახვლედიანის ნამუშევრები გაიგზავნა ნიუ-იორკში, „ხელოვნების სახლში“ გამართულ გრაფიკის გამოფენაზე.

პირველი პერსონალური გამოფენა დაუვიწყარი იყო ე. ახვლედიანისთვის. ამ დროს მის გვერდით იყვნენ განუყრელი ქართველი მეგობრები, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ ჭეშმარიტად ქართული ატმოსფერო, რათა მნახველთათვის გამოფენის დღეები დასამახსოვრებელი ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს ერთი მოგონება, რომელიც გ. ჯაუახიშვილმა ჩაწერა: „მახსოვს პარიზში, „Quatre Chemins“- ის სალონში, ჩემი სურათების გამოფენის დროს ლიტერატურულ საღამოებს ემართავდით. შემადღებული ადგილიდან თითოეული ჩვენგანი ქართულ და ფრანგულ ლექსებს ვკითხულობდით. ყველას გეჯობნიდა ლექსების თქმასა და ცეკვაში ლადო გუდიაშვილი.“³⁰ ურთიერთ მხარში დგომისა და დახმარების მკაფიო მაგალითს იძლევა ფაქტი, რომელსაც ეხება ტანია კაკაბაძის მოგონება დავით კაკაბაძეზე.³¹

სამშობლოს მონატრების გრძნობას ე. ახვლედიანი თანამემამულეებთან ურთიერთობით ავსებდა. ხშირად ჩადიოდა ქართველთა სათვისტომოში ლოვილში. „ოთხეული“ იკრიბებოდა სოლორაშვილებთან, რაზეც მოგვითხრობს ერთი ეპიზოდი ქ. მაღალაშვილის მოგონებებიდან: „მეცა და ჩემი დროის პარიზელი ქართველები სოლორაშვილების სახლში კვირაში ერთხელ მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს. მხატვრებიდან ჩვენ ოთხნი ვიყავით: საოცარი დავით კაკაბაძე, ზღაპარი ლადო, ქარიშხალა ელენე და მე, რომელსაც ამხანაგები მეძახდნენ „მწყერას“. იყო კიდევ ერთი მხატვარი შალვა ქიქოძე, რომელიც ჩემს პარიზში ჩასვლამდე გარდაცვლილიყო. ისიც ხშირად დადიოდა თურმე სოლორაშვილებთან. აქ ხშირად იყო სტუმრად ორი ერეკლეც – ჯაბადარი და ორბელიანი. მათი მუსიკალური ნაწარმოებები გვაძღვებინებდა.“³²

პარიზში ყოფნის ყოველი წელი, თვე, ე. ახვლედიანისთვის გარკვეული სიახლით იყო ნიშანდობლივი. 1927 წელიც

გამორჩეოდა შემოქმედებითი მიღწევებით. „დამოუკიდებელთა სალონი“ 38-ე გამოფენაში მონაწილეობამ და მასზე გამოხმაურებამ დააგვირგვინა ის წარმატება, რომელიც ჰქონდა მას მანამდე პერსონალურ გამოფენაზე. იმატა მისი ნამუშევრების შექმნის მსურველთა რიცხვმა. ე. ახვლედიანის პირად არქივში 1927 წლის ერთ პუბლიკაციაზე იკითხება მისი ხელით მიწერილი ტექსტი: «Сбор винограда (1500 фр.); П. Синьяк-500фр.... 650 фр.... Voilà! encore 940 fr. Tra-la-la-la-la! Je parte pour Venise! (Моя доля)».

აღნიშნული მინაწერი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მის იმჟამინდელ ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც საშუალებას აძლევს მხატვარს, ისურვოს ვენეციაში გამგზავრება. შედგა თუ არა მოგზაურობა ვენეციაში უცნობია, მაგრამ 1991 წელს პრესაში გამოქვეყნებული მანამდე უცნობი ფოტო ადასტურებს, რომ 20-იან წლებში იგი იმყოფებოდა ციურიხში მიხეილ ბილანიშვილთან ერთად³³. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფოტო 1927 წელსაა გადაღებული და აი, რატომ: „დამოუკიდებელთა“ 38-ე გამოფენაში მიიღო მონაწილეობა მ. ბილანიშვილმაც ე. ახვლედიანთან და დ. კაკაბაძესთან ერთად. ფოტოზე არ ჩანან ე. ახვლედიანის განუყრელი მეგობრები: ქ. მაღალაშვილი და ლ. გუდიაშვილი, რომლებიც 1926 წელს დაბრუნდნენ საქართველოში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1927 წლისთვის წარმატებები პრესტიჟულ გამოფენებზე საგრძნობლად აუმჯობესებს ე. ახვლედიანის ფინანსურ მდგომარეობას და საშუალებას აძლევს იმოგზაუროს ევროპაში.

იმავე 1927 წელს მხატვარმა მიიღო მოწვევა პროლანდიიდან. მისი ნამუშევრები გაიგზავნა ქ. ოსტენდში, მაგრამ თვითონ ვეღარ წავიდა, ვინაიდან ოჯახური მდგომარეობის გამო (დედის ავადმყოფობა) იძულებული იყო სასწრაფოდ დაბრუნებულიყო სამშობლოში.

თავი IV პარიზის შემდგომი პერიოდი

1927 წელს ელენე ახვლედიანი უკვე საქართველოშია. იგი ჩამოღის მარტო, მეუღლის გარეშე, რომელთანაც უკვე განქორწინებულია. მისი ახლობლები, განქორწინების მიზეზად მხატვრის დამოუკიდებელი ცხოვრების წესს ასახელებენ. «Социальные, психологические и многие иные узы замужества сильно сковывали её свободолюбие (хотя безумно её любивший прекрасный человек – Аполлон Какабадзе ни в чем не был виноват)»³⁴. აღნიშნული მოგონება საინტერესოა კიდევ ერთი დეტალით: ე. ახვლედიანის თბილისში ჩამოსვლის ეპიზოდიდან ვიგებთ, რომ იგი უკვე გაჭაღარავეებულია. «Хотя все были в жутком настроении по поводу плохого состояния матери, но при виде Элички на подножке вагона, все они ожили: стояла она красивая, величавая, элегантно одетая, седая, причесанная на английский манер и нетерпение было написано на её живом и умном лице.» აღნიშნული აღწერა უმაღლეს გვახსენებს პარიზში, იმავე წელს შესრულებულ ავტოპორტრეტს, რომელზეც საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე, საკუთარ თავში დაჯერებული პიროვნებაა გამოსახული.

თბილისში დაბრუნებისთანავე ე. ახვლედიანი იწყებს სისხლსავე შემოქმედებით ცხოვრებას, მაგრამ სამხატვრო აკადემიაში სწავლა აღარ გაუგრძელებია. ამავე წლის 1 ივნისს თბილისში იმართება საზღვარგარეთ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა, რომელიც თავისი შინაარსით საანგარიშოა. ამაზე მიუთითებს აფიშა, რომელიც იუწყებოდა, რომ „1 ივნისს გაიხსნება პარიზიდან დაბრუნებული ელენე ახვლედიანის სურათების გამოფენა“. აღნიშნული ნამუშევრები 1928 წელს იფინება აგრეთვე თელავსა და ქუთაისში. ქუთაისში გამართული გამოფენის დროს ე. ახვლედიანს გადასცემენ ბარათს, რომელშიც წერია: „თქვენთან შეხვედრა მინდა. კოტე მარჯანიშვილი“. ამ დღიდან ივსება ახალი ფურცელი მის ბიოგრაფიაში.

ელენე ახვლედიანი და ქართული თეატრი

1926 წელს კ. მარჯანიშვილი ტოვებს რუსთაველის თეატრს და მსახიობთა გარკვეულ ჯგუფთან ერთად ქმნის ქართულ თეატრს ქუთაისში, სადაც თავის გარშემო იკრებს მხატვართა საუკეთესო ძალებს. ე. ახვლედიანის მიწვევა არ იყო შემთხვევითი მოვლენა.

ე. ახვლედიანის შემოქმედების ადრეული პერიოდის ნამუშევრების შესწავლამ ნათლად, შეიძლება ითქვას, დოკუმენტური სიზუსტით, წარმოაჩინა საყოველთაოდ აღიარებული „ახვლედიანის პეიზაჟის“ ჩამოყალიბების სათავეები, რამაც, თავის მხრივ, საშუალება მოგვცა ამოგვეცნო მისი „დეკორატიული კომპოზიციების“ ფორმულა: მაყურებელი – ავანსცენა – სანახაობა. აღნიშნულ ფორმულას უმნიშვნელო სახეცვალებით იყენებს მხატვარი ნახევრად დადგმული, სინამდვილეში სრულიად რეალური და „დაუჯერებლად ბუნებრივი“ სცენების სანახაობითობის გადმოსაცემად.³⁵

გენიალურ ქართულ რეჟისორს შეუძლებელია, არ შეენიშნა „ახვლედიანის პეიზაჟებისთვის“ დამახასიათებელი „თეატრალური ელემენტები“.

ფერმწერისთვის მარჯანიშვილთან მუშაობა იყო უდიდესი სკოლა, სადაც იგი თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის სპეციფიკას ეზიარა. ხუთი წლის განმავლობაში მან გააფორმა 20-ზე მეტი სპექტაკლი. თეატრის მოღვაწენი და კრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ მას მარჯანიშვილის მოწაფედ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნ. ურუშაძის მონოგრაფია, რომელიც ეძღვნება ე. ახვლედიანის მოღვაწეობას თეატრში. „როდესაც ელენე თეატრში თავის დეკორაციებზე ან კოსტუმებზე მუშაობს, ყველაფერს თვითონ აკეთებს ხოლმე. ყველა წვრილმანს აკეთებს მთელი გულისყურით, გატაცებით, თავდავიწყებით. ასეთი ენთუზიაზმი გადამდებია და ძალიან ზრდის დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას. ამით ელენე კოტე მარჯანიშვილს მაგონებს. მაგონებს კიდევ დაუშრეტელი ფანტაზიით და ემოციით.

ისეთი ემოციით, მუდმივი სიჭაბუკით რომ აჯილდოვებს ხოლმე ადამიანს. ამიტომ ვაყენებ მას მარჯანიშვილის მოწაფეთა პირველ რიგში“, – აღნიშნავს ვერიკო ანჯაფარიძე.³⁶ იმავე აზრს ავითარებს სესილია თაყაიშვილი: „თავის დროზე, მახსოვს, უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე ის, რომ სპექტაკლზე ერთად მომუშავე ელენე და მარჯანიშვილი ცალ-ცალკე მე არ მინახავს... გვიან მიუხვდი, რა იყო ამის მიზეზი – კოტე მარჯანიშვილის და ელენე ახვლედიანის იშვიათი სულიერი, შემოქმედებითი სიახლოვე. მე დღესაც ვერ წარმომიდგენია ისინი უერთმანეთოდ. ელენე ახვლედიანი არა მარტო ჭეშმარიტი მოწაფეა კოტე მარჯანიშვილის, არამედ მისი თანამოაზრე შემოქმედებაში, ქართულ თეატრში მისი ტრადიციების საუკეთესო დამამკვიდრებელი და გამგრძელებელი.“³⁷

ე. ახვლედიანი სიამაყით იხსენებს მარჯანიშვილთან გატარებულ წლებს და თან სინანულით აღნიშნავს, „თითოეულ მხატვარს, ვისაც კქონდა ბედნიერება ემუშავა ე. მარჯანიშვილთან, რომ დაეწერა მოგონება, გამოვიდოდა ძალზე ფასეული და საინტერესო მასალა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის“. ე. ახვლედიანიმა ეს საკუთარი მაგალითით დაასაბუთა – მისი 1965 წლის მოგონება „მარჯანიშვილის გვერდით“ წარმოადგენს მართლაც რომ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტურ მასალას ქართული სათეატრო ხელოვნებისა და სცენოგრაფიისთვის.

ე. ახვლედიანის მუშაობამ მარჯანიშვილთან საფუძველი ჩაუყარა მის მეგობრობას ქართველ მსახიობებთან, მუსიკოსებთან, დრამატურგებთან, გატაცებას სათეატრო მხატვრობით, რომელსაც 40 წელი შესწირა.

მარჯანიშვილთან ქუთაისში მუდმივად მუშაობდნენ ე. ახვლედიანი და პეტრე ოცხელი, მაგრამ პერიოდულად იგი იწვევდა სხვადასხვა მხატვარს იმისდა მიხედვით, თუ რომელი უფრო ახლოს იყო პიესის ლიტერატურულ ქარგასთან და რეჟისორის ჩანაფიქრთან. მარჯანიშვილთან მოღვაწეობდნენ როგორც პროფესიონალი სცენოგრაფები, ისე იმ დროის გამოჩენილი მხატვრები (დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ი.

შარლემანი, ე. ლანსერე, თ. აბაკელია, ს. ქობულაძე), რომელთა შორის ე. ახელედლიანმაც თქვა თავისი სიტყვა.

1930-იან წლებში მისი შემოქმედების ძირითად სფეროს თეატრის მხატვრობა წარმოადგენს, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მის „გადარჩენაში“, ვინაიდან უცხოეთიდან დაბრუნებული მხატვარი ცენზურის მხრიდან განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა დ. კაკაბაძესა და ლ. გუდიაშვილთან ერთად. ამ პერიოდში ე. ახელედლიანი ინტენსიურად მუშაობს თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ, რუსულ თეატრებში, თბილისის სომხურ დრამატულ თეატრში, ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ფოთის, ჭიათურის, სოხუმის დრამატულ თეატრებში. ამავე წლებში, მისი სათეატრო საქმიანობა სკდება საქართველოს ფარგლებს და მოსკოვის ოპერეტის თეატრში (1933-34) აფორმებს ი. შტრაუსის „ღამურას“ (დადგმა კ. მარჯანიშვილის).

1934 წლიდან ე. ახელედლიანი აქტიურად მუშაობს წიგნის გრაფიკაში. იგი ქართული საბავშვო წიგნის ერთ-ერთი პირველი ილუსტრატორთაგანია. 1934-37 წლებში ე. ახელედლიანი საყმაწვილო ლიტერატურის გამომცემლობის მთავარი მხატვარია. მან დაასურათა ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა მრავალი ნაწარმოები, მათ შორის საუკეთესო მარკ ტვენის „ტომ სოიერი“, ვ. პიუგოს „კაცი, რომელიც იცინის“, ე. ნინოშვილის „მოსე მწერალი“, ლონგფელოს „სიმღერა ჰაიავატზე“, დ. კასრაძის „ქალ-პეპელა“, ვაჟა ფშაველას მოთხრობები და პოემები. აღნიშნული ნაწარმოებები, რომლებზეც მკითხველთა თაობები იზრდებოდა, ქართული წიგნის გრაფიკის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. ამ თაობებისთვის ე. ახელედლიანი არა მხოლოდ მხატვარია, არამედ მათი ბავშვობის „მეგზური“, „მესაიდუმლე“, „ოცნებების გამზიარებელი“. სწორედ ამ სიტყვებით იხსენიებენ ისინი მხატვარს. „ჩვენ არასოდეს დაგვაევიწყდება იმ წიგნების მომხიბვლელი ილუსტრაციები. არ დაგვაევიწყდება ინდიელთა ის მიმზიდველი პოეტური სამყარო, რომელიც „ჰაიავატას“ წიგნის ფურცლებზე იყო

გადაშლილი, ხოლო სხვა წიგნის გრაფიკულად შესრულებული ნახატებიდან ჩვენ გვიყურებდა ამერიკის ეველასზე დიდი მდინარის, მისისიპის, ნაპირებთან გაზრდილი ონაერი ბიჭი – ტომ სოიერი. ჩვენ მასთან ერთად ვგორავდით ქვიშაზე, მივცურავდით ტივით, ვღებავდით მესერს, რომლის ყოველი ფიცარი ჩვენთვის ზღაპარი იყო... ამ გროტესკულ ნახატებში იყო რაღაც მეტიმეტად ამაღლებული, სერიოზული, პათეტიკური, პოეტური. ეს იყო იდუმალი, რომანტიკული სამყაროს ფარდა, რომელიც ჩვენ წინ გადახსნა ქართველმა მხატვარმა... ბავშვობის იდუმალ კარიბჭესთან დაგეხვდა ე. ახვლედიანი, მოგვანიჭა განუმეორებელი სიხარული და ამიტომ იგი კიდევ უფრო ძვირფასია ჩვენთვის.“³⁸

1930-ანი წლების მეორე ნახევარი ნიშანდობლივია „ფორმალიზმის“ წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის აქტიუზაციით როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში. ე. ახვლედიანი ამ პერიოდში ძირითადად დაკავებულია წიგნის გრაფიკითა და სათეატრო მხატვრობით, თუმცა ქმნის დაზგურ ნამუშევრებსაც, მაგრამ - „თავისთვის“, ვინაიდან იმხანად იმართება მხოლოდ თემატური გამოფენები, სადაც თემა და გამოსახვის მეთოდი მკაცრად ლიმიტირებულია, მათში მონაწილეობა კი – სავალდებულო.

1936 წელს გამართული გამოფენა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისთვის“, რომელშიც ე. ახვლედიანმა მიიღო მონაწილეობა სურათით „ამხ. სტალინი არალეგალურ კრებაზე კრწანისის ხეობაში“, უნდა მივიჩნიოთ ამ პერიოდის გამოფენათა სტერეოტიპულ ნიმუშად. ასეთივე „ხარკი“ გაუღია „ოთხეულის“ დანარჩენ წევრებსაც: ლ. გუდიაშვილს – „ბარიკადი, 1905 წელი“ და „ამხ. სტალინი ჩოდრიშვილის სახელოსნოში“; ქ. მაღალაშვილს – „ამხ. სტალინი, 1902 წ.“ და „ამხ. სტალინი ბათუმის ციხეში, 1902 წ.“; დ. კაკაბაძეს – „რიონწყისი“. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ერთ გამოცემაში, რომელიც, არსებითად, წარმოადგენს საქართველოში მოღვაწე მხატვართა შესახებ ცნობარს, ძალზე მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული „ქართული საბჭოთა

სახვითი ხელოვნების ამოცანები“. ამ, ჩვენთვის კარგად ცნობილი ამოცანების ფონზე, ტექსტში ყურადღებას იქცევს შემდეგი ფრაზა: „1936 წ. გამოფენა „ა.-კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციების ისტორიისათვის“ იქცა მთელი ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოცდად (ხაზი ჩემია ლ. ბ.). ამ ღირსშესანიშნავ გამოფენაში მონაწილეობდნენ როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის ყველა გამოჩენილი ოსტატები“³⁹. როგორც 1936 წლის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, გამოცდის წინაშე იდგნენ არა მხოლოდ მხატვრები, არამედ მთელი საზოგადოება. ჩაკეტილი საზღვრების, ჩაკეტილი სივრცის, დაკვეთილი თემებისა და გამოსახვის საშუალებათა პირობებში ე. ახვლედიანი, როგორც შინაგანად თავისუფალი პიროვნება, აკეთებს არჩევანს – უარს ამბობს საბჭოთა იდეოლოგიის აპოლოგეტობაზე (თუმცა „ხარკის გაღება“ მაინც უწევს) და ემზადება გამოცდის ჩასაბარებლად არა მთავრობის, არამედ თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. არსებულ ვითარებაში მხატვარი თავისუფალი აზროვნების რეალიზაციას ახდენს უფრო ქმედებაში და არა შემოქმედებაში.

ე. ახვლედიანის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მისი კონტაქტები „ცისფერყანწელებთან“ და მათ წრესთან, რაც გასცდა საქართველოს საზღვრებს. ე. ახვლედიანი სულიერ სიახლოვეს პოულობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საბჭოთა სივრცეში მყოფ თანამოაზრე ხელოვნებთან, რომლებიც მასავით იტანჯებიან ჩაკეტილი საზღვრებითა და ჩაკეტილი იდეებით. 1937 წლის ტრაგიკული მოვლენები მწვავედ განიცადა ე. ახვლედიანმა. რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდნენ მისი მეგობრები და ახლობლები: დ. შვეარდნაძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, პ. ოცხელი, ა. კაკაბაძე და მრავალი სხვა.

1939 წელს ე. ახვლედიანმა მიიღო სახელოსნო თბილისის ცენტრში მდებარე მყუდრო ქუჩაზე (ყოფილი პეროვსკაიას ქ. №12). ამ დღიდან იწყება ე. ახვლედიანის რეალური ძალისხმევა საკუთარი პროექტების განსახორციელებლად, რომელთა არსი მოკლედ, დღეს უკვე საყოველთაოდ

მიღებული ტერმინოლოგიით, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: თვითიდენტიფიკაცია და ინტეგრირება. მისი აქტივობის უმთავრესი მიმართულებაა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა.

ელენე ახვლედიანი თაგის თაგზე აიღო ღიმიტრი შევარდნაძისა და მის თანამოაზრეთა იდეების გაცოცხლებისა და ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის მეტად საპასუხისმგებლო მისია.

ზრძოლა კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად

მხატვარი ცდილობს, საკუთარი სახელოსნო აქციოს „პატარა საქართველოდ“. სახელოსნოს ანტურაჟი, მისი ყოველი დეტალი ხაზგასმულად ეროვნული კოლორიტით გამოირჩევა. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების პრინციპზე მოწყობილ სახელოსნოში ყველა კონსტრუქციას – ხის „დედაბოძს“, კიბეებს, რიკულებიან მოაჯირს, ანტრესოლებს და სხვ. უპირველეს ყოვლისა ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა და იმავდროულად, შიდა სივრცის განაწილების გარდა, ინტერიერის გაფორმების ეფექტურ ელემენტად აღიქმებოდა. სამზარეულოს მორთვას ზაფრანის, ხახვის, ნიურის „მძივებით“, თაროებზე ჩამწკრივებული ხისა და თიხის ჭურჭლით, პირობითად თუ ვუწოდებთ „მორთვას“, ვინაიდან ისინი ქართული სამზარეულოს აუცილებელი ატრიბუტებია. საკუთარი სახლის მაგალითზე ელენე ახვლედიანი ცდილობდა დაებრუნებინა და გაეცოცხლებინა მივიწყებული ტრადიციები არა იდეისა თუ სამუშეუმი ექსპონატების დონეზე, არამედ ყოფაში.

ე. ახვლედიანის სახლი აღიქმებოდა როგორც ხმამაღალი განაცხადი „*ყველაფერი, რაც ჩემ გარშემოა, გამოყენებითია, გამოყენებადია და გამოყენებულია!*“ ... და ამასთან, საოცრად ღამაზია. ახვლედიანისეული სურათების ხიბლიც ხომ ესაა. ამაში ვლინდება მხატვრის შემოქმედებისა და ცხოვრების წესის ორგანული მთლიანობა.

ამ სახლში ინახებოდა ე. ახვლედიანის მიერ წლების განმავლობაში მოგროვილი და განადგურებას გადაარჩენილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების (ხის ავეჯი, კერამიკის, სპილენძის ნაწარმი, ფარდაგები) ნიმუშები, ხოლო კედლებს ამშვენებდა საკუთარი და სხვა მხატვრების (მათ შორის – პიკასოს) მიერ შექმნილი ნაწარმოებები. ამდენად, მხატვრის სიცოცხლეშივე ე. ახვლედიანის სახლი უკვე გარკვეულწილად მუზეუმად და თბილისის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით თბილისში ჩამოსული უცხოელებისთვის, თბილისელებისთვის კი იგი უბრალოდ ძვირფასი იყო, ვინაიდან იწვევდა ნოსტალგიას იმ ძველი თბილისისა, რომელიც მათ ჯერ კიდევ ბავშვობიდან ახსოვდათ.

როგორც ყველაზე ფაქიზ მოგონებას უფრთხილდებოდა ე. ახვლედიანი ძველ ქალაქთან დაკავშირებულ ნებისმიერ რელიქვიას. მოგვიანებით იგი კატეგორიულ წინააღმდეგობას გაუწევს მისი სახლის რემონტის დროს უსარგებლოდ მიჩნეული კედლის დიდი ღუმელის დანგრევას.

ბრძოლას ძველი თბილისის სახის შესანარჩუნებლად ე. ახვლედიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა. იგი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქალაქის ძველ უბნებს, ქუჩებს, სახლებს ხედვის უახლოესი და შორეული წერტილებიდან, იცოდა მათი ხასიათი, განწყობა, ფერები წელიწადის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ამინდში, ესმოდა ძველი, კოლორიტული სახლების მაჯისცემა. ალბათ, ამიტომაც, როგორც კი იგრძნობდა მათი განადგურების საფრთხეს, ყველანაირ წინააღმდეგობას (მათ შორის ფიზიკურს) უწევდა არა თუ გადაწყვეტილების მიღების ინიციატორებს, არამედ დასანგრევად მომართულ მძიმე ტექნიკასაც კი. ნგრევის ზოლში მოხვედრილი რამდენიმე სახლი მან პირადად გადაარჩინა, ბევრი სხვა კი უკედაველ თავის სურათებში. ნიშანდობლივია, რომ დედაქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციის დროს არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი ხშირ შემთხვევაში ელენე ახვლედიანის ნამუშევრებს ეყრდნობოდა და აცხადებდა, რომ „ახვლედიანის სურათები შეიძლება თითქმის მთელი ძველი თბილისის აღდგენა“.

თბილისის ძველი უბნების რესტავრაციაში უდაოა როლი ახელედნიანის შემოქმედებისა, რამაც ხელი შეუწყო ისტორიული ქალაქის შენარჩუნებას. თბილისის, პარიზის, ვენეციის, ბრატისლავას, ტალინის და სხვ. ქალაქების პეიზაჟთა სერიებზე მუშაობამ ცხადყო, რომ ე. ახელედნიანმა კარგად იცოდა ფერის მნიშვნელობა და ადგილი ნებისმიერი ქალაქის არქიტექტონიკაში. ახელედნიანის სურათების ფურთა გამა ზუსტად ასახავდა თბილისის განსაკუთრებულ კოლორიტს. ამიტომ თბილისის სახლების ფასადების შეღებვის საკითხებში არქიტექტორები კონსულტაციებს მისგან იღებდნენ, მათ შორის – ე. წ. „მეხუთე ფასადის“ პროექტის განხორციელების დროს, რაც ითვალისწინებდა სახურავების ფერის აღდგენას, რათა არ დარღვეულიყო თბილისის პანორამა ხედვის მაღალი წერტილებიდან. ო. ლითანიშვილი იხსენებდა მთაწმინდის პლატოდან, კოჯრის სერპანტინული გზიდან, იმჟამინდელი „კომკავშირის ხეივნიდან“ და სხვა გადასახედიდან ე. ახელედნიანთან ერთად თბილისის კოლორიტზე მუშაობას. ამდენად, ქალაქის რესტავრაციაში ე. ახელედნიანს თანაბარი წვლილი მიუძღვის არქიტექტორებთან და მშენებლებთან ერთად, მაგრამ ეს ყველაფერი მოგვიანებით განხორციელდა. მანამდე კი მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. წლების განმავლობაში მხატვარი დაჟინებით იმეორებდა „თბილისმა საუკუნეების მანძილზე მრავალჯერ გაუძლო მტრის შემოსევას, მაგრამ თანამედროვე არქიტექტორების შემოსევას ვერ გადაურჩა. მე სრულებით არ ვარ ახლის წინააღმდეგი, მაგრამ არ მესმის, რატომ შეუძლიათ ესტონელებს შეინახონ თავიანთი მშვენიერი ქალაქი ხელუხლებლივ ... ჩვენს თბილისს კი ეკარგება საკუთარი კოლორიტი, თავისი იერი და თანდათან ემსგავსება სხვა ქალაქებს. ეს, ჩემი აზრით, ძალიან გულსატკენია ... მომავალში თაობები ამას არ გვაპატიებენ“.

ე. ახელედნიანს კარგად ესმოდა, რომ ერთია ძველი ქალაქის ეგზოტიკა, მისი განუმეორებელი კოლორიტი და მეორეა ის მძიმე ყოფითი პირობები, რომლებშიც იმყოფებიან მოზინადრენი. ამიტომ იგი გამოდის თამამი იდეით – ძველი უბნებისა და სახლების კეთილმოწყობა მათი პირვანდელი

სახით შენარჩუნების პირობით: „ხალხი უნდა გამოსახლდეს, გაკეთდეს რემონტი, კეთილმოეწყოს ბინები, ხალხს უნდა შეექმნას ნორმალური პირობები. ეს ადვილი არ არის, მაგრამ ნუთუ იმისთვის, რომ წესრიგი დამყარდეს, სიძველე უნდა განადგურდეს?“ როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ამ იდეის განხორციელება ბევრად გვიან დაიწყო.

ე. ახელედიანისთვის კულტურული მემკვიდრეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მატერიალური ძეგლებით. მისი განსაკუთრებული სიყვარულისა და თაყვანისცემის საგანს ქართული მუსიკალური ფოლკლორი წარმოადგენდა. „ძალიან მიყვარს ქართული ხალხური მუსიკა, განსაკუთრებით ქართლ-კახური სიმღერები“, – იტყვის მხატვარი ერთ ინტერვიუში. ქართული ფოლკლორის სიყვარული, როგორც მისი ახლობლები აღნიშნავენ, ხალხური სიმღერების შემკრებმა, გალობის მასწავლებელმა მიხეილ ელიზბარაშვილმა დაანათლა, რომელსაც, მართლაც, მართლაც, მოუნათლავს პატარა ელენე. იგი ახელედიანების ოჯახს ხშირად სტუმრობდა თელავში და ნიკო სულხანიშვილთან ერთად სერიოზული გავლენა იქონია ხალხური მუსიკალური შემოქმედებისადმი ახელედიანის დამოკიდებულების ფორმირებაში.

ე. ახელედიანი დიდად აფასებდა ხალხურ შემსრულებლებს და ყოველთვის უჭერდა მხარს, როცა მათ ეს განსაკუთრებით ესაჭიროებოდათ. ხალხური სიმღერების პოპულარული შემსრულებლის, ანა ვარდიაშვილის, პირად არქივში დაცული წერილიდან ვიგებთ, რომ პირველი გაუბედავი ნაბიჯი სცენისკენ სწორედ მან გადაადგმევინა. 1927 წელს ე. ახელედიანის ინიციატივით გამართულა კონცერტი თელავში, სადაც „მანამდე მხოლოდ გლეხის საკრავი ფანდური პირველად გავიტანეთ ფართო საზოგადოების წინაშე“, – იხსენებს მომღერალი.

ე. ახელედიანისთვის ძველი თბილისი წარმოადგენდა ერთ მთლიან ორგანიზმს არა მარტო საკუთარი კონსტრუქციითა და ფერებით, არამედ მხოლოდ მისთვის – თბილისისთვის – დამახასიათებელი ჰანგებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ელენე საოცრად ზუსტად წვდებოდა

პრობლემათა არსს. ბევრი რამ, რაზეც იგი ამახვილებდა ყურადღებას თავის დროზე, შემდგომ პერიოდში საგანგაშო ხდებოდა. ამიტომაც ე. ახვლედიანი არ ეპუებოდა საქმის გადადებას, როცა საკითხი ეხებოდა ეროვნულ ფასეულობებს. ანა ვარდიაშვილის მოგონებებიდან ირკვევა, რომ დუდუკების თანხლებით მღერა არცთუ იოლი საქმე ყოფილა – მაშინდელი „პროფესიულ-ელიტარული სამყარო“ არ უწონებდა მას „სარდაფის საკრავის“ სცენაზე გატანას. ძველი თბილისის ტრფიალი ეხმარებოდა ე. ახვლედიანს დუდუკზე ხმაშეწყობილ სიმღერებში შეეგრძნო წარმავალი ქალაქის გულისცემა და დაეცვა ბავშვობის მეგობარი. როცა მომღერალმა ხალხურ საკრავთა ანსამბლი ჩამოაყალიბა, პირველი ოფიციალური მოსმენა ე. ახვლედიანის სახლში შედგა. ქართული კულტურის დეკადისტების საკონცერტო ნომრების მხატვრული გაფორმება ე. ახვლედიანს დაევალა. წინააღმდეგობის მიუხედავად, მან პროგრამაში ჩაართვევინა ა. ვარდიაშვილის სიმღერა მედუდუკეთა ანსამბლთან ერთად, თავად შეუკერა კაბა მისივე დამზადებული ესკიზით და დიდი მონდომებით გააფორმა საკონცერტო გამოსვლა (მომღერლის თეთრი კაბა, მედუდუკეთა ანსამბლი გამჭირვალე ფარდის უკან, განათების აქცენტი სოლისტზე). ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში არ შედგა – ომი დაიწყო, მაგრამ ამ ფაქტს მომღერლის კარიერაში უკვალოდ არ ჩაუვლია.

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ანუ ტრადიციების მემკვიდრეობითობა, თაობიდან თაობაზე გადაცემა, ე. ახვლედიანს წარმოედგინა უწყვეტ პროცესად, რომელიც ადრეული ასაკიდან უნდა დაწყებულიყო. ბავშვთა სახელოვნებო განათლებაში, ეროვნულ და მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობასთან ზიარებაში (საკუთარი ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების დაფასება ხომ შეუძლებელია სხვა კულტურათა შესწავლის გარეშე) ხედავდა იგი ერის სულიერ ფასეულობათა მენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების გზას. მის ლექსიკაში არ იყო ზემოთ ხსენებული ტერმინები, მაგრამ არსი სწორედ ეს იყო. თავის ნაფიქრალსა და ნააზრევს მხატვარი ძალზე

უბრალოდ ააშქარავენდა ყოველგვარი დეკლარაციებისა და კონცეფციების გარეშე. იგი სახავედა კონკრეტულ, სარცრად რეალისტურ და სრულიად განხორციელებად ქმედებებს. თუმცა, აქვე უნდა დაეთქვათ, რომ მის იდეებს უკვე თითქმის საუკუნის გადასახედიდან ვაფასებთ „განხორციელებადად“, ალბათ, იმიტომ, რომ მათ ხორცშესხმაზე და პერსპექტივებზე უშუალოდ ე. ახვლედიანი ზრუნავდა და ახორციელებდა კიდევ (ან ხორციელდებოდა მოგვიანებით, მისი გარდაცვალების შემდგომ პერიოდში).

1930-იან წლებში მხატვარი მუშაობს ქართული ეროვნული სათამაშოს შექმნის პრობლემატიკაზე. მისი მიზანია საბჭოთა უნიფიცირების პირობებში ეროვნული სამოსელის, მისი ფაქტურის, ფერების მეშვეობით ქართველმა ბავშვმა დაბადებიდან შეიგრძნოს ეთნიკური პლასტები, რომ სათამაშოსაც ისევე, როგორც ნებისმიერ ნივთს ჰქონოდა თავისი „ლოგიკა და ამ ლოგიკიდან გამომდინარე – ფორმა.“ საგულისხმოა, რომ ქართული სათამაშოს იდეა გადაიზარდა ზოგადად ეროვნული სათამაშოს შექმნის იდეად საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხისთვის.⁴⁰

მემკვიდრეობითობის უწყვეტი პროცესის შემდგომ საფეხურს ე. ახვლედიანი სახელოვნებო განათლებაში ხედავდა. ზუგდიდელი მხატვარი შარაბ ხოჭოლავა 1988 წელს, ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმში გამართული მისი პერსონალური გამოფენის გახსნის დღეს, გაიხსენებს, თუ როგორი ენთუზიაზმით შეხვდა ე. ახვლედიანი ზუგდიდში სამხატვრო სკოლის დაარსების იდეას.⁴¹ შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ თელავის სამხატვრო სკოლა დღეს ელენე ახვლედიანის სახელს ატარებს. ე. ახვლედიანი თავის გარშემო იკრებდა ჯერ ნათესაეების, მეგობრების, მეზობლების შვილებს და უნერგავდა ხატვის სიყვარულს. თანდათანობით ეს წრე გასცდა ახლობლების საზღვრებს. ამასთან, იგი ძალზე ფაქიზად ეკიდებოდა ხატვით გატაცების საკითხს, რათა ადრეულ ასაკში შტუდირებას გარკვეულ ჩარჩოებში არ მოექცია ბავშვის თავისუფალი მხატვრული აზროვნება. მდიდარი პროფესიული გამოცდილების მიუხედავად, საკუთარ თავს არ განიხილავდა პედაგოგის რანგში, ვინაიდან, მისი

თქმით, ამისთვის სათანადო უნარი არ გააჩნდა: „вот, говорите, собираю детей, поощряю в них дар, устраиваю выставки. Да, это так, но помогать им рисовать не умею. не то, чтобы не способна сделать им замечание. Боюсь, как бы не спугнуть...“ იგი ეცნობოდა, აკვირდებოდა და სწავლობდა ბავშვთა შემოქმედებას, უდიდეს შეფასებას აძლევდა მათ უსაზღვრო ფანტაზიას, თვითმოფადობას, რაც მაქსიმალური სისრულით ვლინდებოდა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შექმნილ ნამუშევრებში. ამიტომ იგი თამამად საუბრობს ბავშვების „გემოვნებასა“ და „ინდივიდუალობაზე“, რაც აძლევს საფუძველს, გამოთქვას გაბედული მოსაზრება: „ჩემი ნება რომ იყოს, მე მათ საბავშვო წიგნების ილუსტრირების უფლებას მივცემდი“.

1968 წელს ე. ახვლედიანი თავის სახელოსნოში აწყობს ბავშვთა ნამუშევრების გამოფენას, რომლისთვისაც საგანგებოდ ემზადება. ამ გამოფენისთვის მან 50-ზე მეტი ნამუშევარი შეარჩია. გამოფენის შეფასებისას გამოთქმულ მოსაზრებებში მხატვარმა მისთვის ჩვეული პირდაპირობით, უბრალოდ და ძალზე მოკლედ ჩამოაყალიბა პიროვნების ფორმირების საქმეში სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი სახელოვნებო განათლების როლი: „даже не о развитии определенного таланта речь, а о том, как довести до максимума возможность, так богато заложенную в детях“.

ბავშვის შინაგან სამყაროში დაბუდებული შესაძლებლობების გამომზეურებას ემსახურებოდა საოჯახო კონცერტები და სპექტაკლები, რომლებიც იმართებოდა ე.ახვლედიანის ინიციატივით მისსავე სახელოსნოში. წარმოდგენებში მონაწილეობას ბავშვებისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია, ვინაიდან მათ ბიოგრაფიაში მრავალმხრივ საყურადღებო და დაუვიწყარ ეპიზოდად ჩაიწერა. რობერტ სტურუასთვის კი, შეიძლება ითქვას, პროფესიული გზის დასაწყისად იქცა. თეატრალური ნათლობა მან ელენე ახვლედიანის სახლში დადგმულ ვოგოლის „რევიზორში“ გოროდნიჩის როლის შესრულებით მიიღო.⁴²

თავისუფალი მხატვრული აზროვნების შემდგომი განვითარებისა და ბავშვთა შემოქმედების წახალისების

მიზნით ე. ახვლედიანი გამოდის ბავშვთა ნამუშევრების სისტემური ექსპონირებისთვის საგამოფენო დარბაზისა და ბავშვთა ნამუშევრების ფონდის შექმნის იდეით. 1968 წლიდან დაწყებული ძალისხმევის შედეგს მან 1973 წელს მიაღწია – ბავშვთა სურათების გალერეა განთავსდა სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის შენობაში. ამის შემდგომ, 1981 წელს „თბილისობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, გალერეამ თბილისის ძველ უბანში დაიდო ბინა, ხოლო 1986 წლიდან იგი ელენე ახვლედიანის სახელს ატარებს.

ელენე ახვლედიანის, როგორც ქართული კულტურისა და ხელოვნების მოამაგის, მასშტაბური აზროვნება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებით. ეროვნულ ფასეულობათა შეესება-გამდიდრების, ქართული პროფესიული ხელოვნების შემდგომი განვითარების ეფექტურ საშუალებად მას აპრობირებული მეთოდი – კულტურათა შორის დიალოგი და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები მიაჩნდა. ვინაიდან „რკინის ფარდა“ ამის საშუალებას არ იძლეოდა, ე. ახვლედიანი იძულებული იყო შემოსაზღვრულიყო „საბჭოთა სივრცით.“

საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები

საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ხელოვანებთან ურთიერთობისკენ სწრაფვას აძლიერებდა სუბიექტური იმპულსებიც. ეს იყო, პირველ რიგში, ე. ახვლედიანის აქტიური შინაგანი ბუნება და მჩქეფარე ტემპერამენტი; გარდა ამისა – ჩაკეტილი საზღვრების შედეგად წარმოქმნილი დიდი კონტრასტი ცხოვრების პირველ და მომდევნო პერიოდს შორის და ამ, მისთვის აუტანელი, კონტრასტით გამოწვეული უკმარისობის გრძნობა.

1940-იან წლებში ეყრება საფუძველი ე. ახვლედიანის მეგობრობას რუსეთის ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან. მათთან ურთიერთობა მხატვრის ცხოვრების

განუყრელი ნაწილი ხდება. მხატვარი ანდამატივით იზიდავდა და თავის გარშემო იკრებდა თბილისში სტუმრად ჩამოსულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს: მუსიკოსებს, მსახიობებს, პოეტებს, მხატვრებს, რომლებიც საქართველოზე უზომოდ შეყვარებულები, მის ნამდვილ მეგობრებად რჩებოდნენ სამუდამოდ. ე. ახვლედიანი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ ქართულ კულტურასა და ხელოვნებაზე სათანადო წარმოდგენა შეექმნა საერთაშორისო სტანდარტების დიდოსტატებისთვის თუნდაც იმავე ნაკლებ სივრცეში, მაგრამ საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამასთან, აღნიშნულ ურთიერთობებს მეორე მხარეც ჰქონდა: ქართულ აუდიტორიას ექმნებოდა მსოფლიოში სახელმწიფოებრივი ხელოვნების შემოქმედების გაცნობის შესაძლებლობა. ე. ახვლედიანსაც მიუძღვის წვლილი იმაში, რომ თბილისს გარკვეულწილად დაუბრუნდა „კულტურის ოაზისის“ ან, თუ გნებავთ, „ფანტასტიკური ქალაქის“ ის ფუნქცია, რომლითაც იგი განთქმული იყო XX საუკუნის პირველ-ორ დეკადაში. თბილისში ეყრება საფუძველი გამოჩენილ ხელოვანთა მეგობრობას, მათ განსაკუთრებულ ურთიერთობებს, რაშიც აშკარაა ე. ახვლედიანის დამსახურება. მომდერალი ნ. ღორღიაკი იხსენებს, რომ მარია გრინბერგთან დამეგობრება ე. ახვლედიანის გარემოცვაში მოხდა: «Мы вновь очень сблизились с Марией Израилевной в конце войны. Мы с матерью эвакуировались на Кавказ, в Тбилиси, где у нас и у приехавшего туда в то время Святослава Теофиловича Рихтера появилось много друзей, людей душевно щедрых, добрых, сердечных - Елена Дмитриевна Ахвледиани, семья Куфтиных, Кето Магалашвили... В 1944 году туда впервые на гастроли приехала Мария Израилевна, которую там очень полюбили».

მუსიკისმცოდნის პავლე ხუჭუას მოგონებიდან ირკვევა, რომ გამოჩენილი მუსიკოსების საკონცერტო პროგრამების შესახებ თბილისის აუდიტორია წინასწარ იყო ინფორმირებული მათი მეგობარი მხატვრების, პირველ რიგში – ე. ახვლედიანის მეშვეობით. პ. ხუჭუა აღწერს ე. ახვლედიანის სახლში გამართული შეხვედრებისა და საღამოების ატმოსფეროს: «Душой таких встреч чаще всего являлась Елена Дмитриевна Ахвледиани, Эличка, человек

бесконечно обаятельный, талантливый, необычайно колоритный в своей раскованности и какой-то бесшабашности, подчас пристрастный, никогда ни к чему и ни к кому не подлаживавшийся, прямой и даже резкий в своих суждениях, а главное – необычайно тонкий в своём понимании искусства. Елена Дмитриевна в своём преклонении перед искусством Марии Израилевны вела за собой лучшую часть грузинской интеллигенции, бескорыстно преданную подлинному и глубокому в искусстве... В доме Ахвледиани бывали Г. Нейгауз, С. Рихтер, Н. Дорлиак и конечно же Мария Израилевна».

ასევე სიბოთი იხსენებს გამოჩენილი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი თბილისურ საღამოებს ე. ახვლედიანის სახლში. «На симпатичных домашних вечерах у Елены Дмитриевны Ахвледиани... часто можно было встретить Г. Нейгауза, С. Рихтера, Н. Дорлиак, известных художников К. Магалашвили, В. Шухаева... Незабываема дружеская непринуждённость, веселье и в то же время творческая возвышенная атмосфера этих вечеров». როგორც ხელოვანების მოგონებებიდან და მიმოწერიდან ჩანს, აღფრთოვანებულები იყვნენ ე. ახვლედიანის შემოქმედებით და უნიკალური ადამიანური თვისებებით, მისი სახლი-სახელოსნოთი და იქ გამართული შეხვედრებით, რომლებიც დაუვიწყარი იყო როგორც სტუმრებისთვის, ისე ქართველი მსმენელებისა და მაყურებლებისთვის.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ს. რიხტერის მეუღლის ნ. დორლიაკის მემუარები, სადაც დიდ ადგილს უთმობს ე. ახვლედიანის გარეგნობასა და ხასიათს, მისი სახელოსნოსა და მუშაობის რეჟიმის აღწერას: «Мы познакомились с Еленой Дмитриевной в первый год войны: в Тбилиси были эвакуированы артисты МХАТ-а, Малого театра, художники, музыканты. Мы снимали комнату в доме рядом с домом Елены Дмитриевны. Я сразу заметила на соседнем балконе удивительную внешность женщины с молодым, красивым лицом и седыми волосами. Первое же посещение квартиры-мастерской Е. Д. осталось незабываемым: на стенах яркие полотна пейзажей Грузии и уголков старого Тбилиси и других городов, много медных и керамических сосудов,

артистически расставленных в просторной комнате – все было необычно и увлекательно... она писала дома с самого раннего утра... в выездах на этюды молодые спутники к вечеру уже уставали, Эличка – никогда.»⁴³

მუსიკოსებთან კონტაქტები 'შემთხვევითი არ არის, ვინაიდან, როგორც არაერთგზის აღნიშნავს ე. ახვლედიანი თავის მოგონებებში, იგი ბავშვობიდან იყო გატაცებული მუსიკით და ეს სიყვარული ბოლომდე გაჰყვა. ამდენად, მართებულად მივიჩნiewთ ცალკე ქვეთავის გამოყოფა, რომელიც ეძღვნება მხატვრის დამოკიდებულებას მუსიკასა და მუსიკოსებისადმი.

ელენე ახვლედიანი და მუსიკა

ე. ახვლედიანის პირველი დიდი გატაცება მუსიკა იყო: პროფესიულიც და ხალხურიც. განსაკუთრებულ სიყვარულს მუსიკისადმი მოწმობს როგორც კონკრეტული ფაქტები მისი ცხოვრებიდან, ისე გამონათქვამები მუსიკაზე. „მე ძალიან მიყვარს მუსიკა და ბევრი სურათი მუსიკის მოსმენისას მაქვს დაწერილი, მათ შორის მაშინ, როცა რიხტერი უკრავდა“; „ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ტილოზე გადავიტანო მუსიკალური ნაწარმოებებიდან მიღებული შთაბეჭდილება. უკვე შესრულებული მაქვს ფრაგმენტები დებიუსის „ნაბიჯები თოვლზე“ და „ჩაძირული ქალაქისთვის“. ვმუშაობ აგრეთვე ნ. სულხანიშვილის ქორალების თემებზე“; „ვცადე დებიუსის „ჩაძირული ქალაქი“ და „ნაბიჯები თოვლზე“ გრაფიკულად გამომესახა, მაგრამ ჯერჯერობით კმაყოფილი არ ვარ ამ ცდებით. განსაკუთრებით მიტაცებს ნ. სულხანიშვილის ქორალები, აგრეთვე პროკოფიევის VII სონატის II ნაწილი“; „ხატვა ბავშვობიდან მიტაცებდა, მაგრამ მუსიკა მიყვარდა უფრო მეტად ... „თუ სახლში ვარ, მუსიკის გარეშე არ ვხატავ ... ჩემი საყვარელი მუსიკოსები არიან: ბახი, ბეთჰოვენი, ბრამსი, ტოსკანინი, სულხანიშვილი“; «...Я всегда страшно остро переживаю изменения в природе. Один пожелтевший листок,

свинцовое небо уже поёт мне грустную песенку. По дороге в Кахетию осенью это целая симфония ярко-красного, жёлтого, малинового, охристого, синего, зелёного ...смотришь и ясно слышишь Бетховена. Я, например, смотря на этот пейзаж, была вся во власти звуков сонаты (фа минор. оп.57) и «Трагической поэмы» Скрябина. Вообще, музыку люблю больше всех искусств, даже больше своего».

მუსიკის შეგრძნების, მუსიკალური ნაწარმოების არსში ღრმად წვდომის უნარი ე. ახვლედიანს აძლევდა საშუალებას, „ზუსტად დაესვა სათანადო მახვილები“, ყოფილიყო იქ და მაშინ, როცა არტისტული ალლო უკარნახებდა. იგი იყო ქართული საშემსრულებლო ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი. თუნდაც ეს ფაქტი: მან აღფრთოვანება ვერ დაფარა საქართველოს კამერული ორკესტრის დაარსების გამო, რასაც გულმხურვალედ გამოეხმაურა საგაზეთო პუბლიკაციით. მხატვარი არა თუ ხშირად ესწრებოდა სიმფონიური თუ კამერული მუსიკის კონცერტებს, საოპერო სპექტაკლებს, არამედ თავად იყო მნიშვნელოვანი „მუსიკალური მომენტების“ ინიციატორი. მის მრავალრიცხოვან მეგობართა შორის იყვნენ ცნობილი მუსიკოსები: ა. მაჭავარიანი, მ. მდივანი, მ. იაშვილი, ნ. ხარაძე, პ. ხუჭუა, ო. დიმიტრიადი.

მხატვრის ბიოგრაფიის საინტერესო ფურცელს ავსებს მისი კონტაქტები ცნობილ პიანისტთან – მარია გრინბერგთან.⁴⁴ 1944 წელს მ. გრინბერგი პირველად ჩამოვიდა თბილისში და პირველივე კონცერტის მერე მრავალი თაყვანისმცემელი შეიძინა საქართველოში. მას შემდეგ იგი თბილისის ხშირი სტუმარი იყო და ამის ძირითადი მიზეზი ე. ახვლედიანია. მხატვრის სახლ-მუზეუმში და მ. გრინბერგის პირად არქივში დაცულია წერილები, რომლებშიც მეგობრები უზიარებენ ერთმანეთს ტკივილსა თუ სიხარულს. აღნიშნული მიმოწერიდან აშკარაა ე. ახვლედიანის გადამწყვეტი როლი მსოფლიოს უდიდესი მუსიკოსების თბილისში მოწვევის საქმეში. «Сегодня Генрих (პ. ნეიპაუსი – ლ. ბ.) улетел и стало очень пусто. Много играл здесь (ახვლედიანის სახლში – ლ. ბ.), в консерватории больше... на закрытых концертах... играл

в доме писателей, у нас в клубе художников; Мы осмелились и попросили сыграть для художников и прочесть маленькую лекцию - живопись и музыка. Он согласился моментально. . . Чудесно играл. . . Когда вы приедете, сыграете для художников? Мне уже влетело от товарищей: «У тебя жила такая пианистка, не смогла упротить сыграть у нас?» - говорили они мне. Но я, откровенно говоря, не решалась Вас просить: а вдруг Вы ответили бы коротко и спокойно: «Нет, не хочу»? – так я же сдохла бы на месте. . .»⁴³

ამ წერილის პასუხად მხოლოდ იმას დავძენთ, რომ მარია გრინბერგს უარი არ უთქვამს ე. ახვლედიანის მიერ შეთავაზებულ არც ერთ კონცერტსა თუ შეხვედრაზე. იგი თბილისის ხშირი სტუმარი იყო, რომელსაც მოუთმენლად ელოდა მუსიკოსთა ფართო აუდიტორია, მაგრამ სავარაუდო საკონცერტო პროგრამების, ჩამოსვლის თარიღებისა და ხანგრძლივობის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ე. ახვლედიანი. ამას ადასტურებს მ. გრინბერგის წერილი ახვლედიანისადმი:

(1951 წ. დეკემბერი.) «Дорогая Эличка, С Новым годом! . . . Я только вернулась из поездки и, поразмыслив хорошенько, думаю, что смогу приехать к вам в первой половине апреля. . . Поговорите в таком плане с Гвинчидзе, причем передайте ему, что нужно сделать не менее 3-4 концертов. . . я очень устала от «трудов» - много играла и пора немного вздохнуть. . . Эличка, ответ Гвинчидзе сообщите мне. Ну, надеюсь что из наших переговоров выйдет что-нибудь. Я по Вас соскучилась. . . Всем сердечный от меня привет и пожелания в Новом году! Целую Вас крепко. Муся.»⁴⁶

თანამედროვეობის უდიდეს მუსიკოსებთან: ს. რიხტერთან, პ. ნეიპაუზთან, მ. გრინბერგთან ურთიერთობის ამსახველი პირადი წერილებიდან ვიგებთ, რომ ე. ახვლედიანი თამამად მონაწილეობს მუსიკოსთა საშემსრულებლო ხელოვნების შეფასებებში და მუსიკალურ სამყაროში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ინფორმაციას ფლობს. ამდენად, პროფესიონალი მუსიკოსები სიამოვნებით უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს ისევე, როგორც სიამოვნებით ატარებდნენ კონცერტებს მის სახელოსნოში, რომელსაც ისინი „პატარა საქართველოს“ მოდელად აღიქვამდნენ. ე. ახვლედიანი, მართლაც, იყო მათთვის ხიდი საქართველოსთან.

განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ე. ახვლედიანს რიხტერთან და მის ოჯახთან, რასაც მოწმობს მათი მოგონებები და წერილები. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რიხტერის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა ე. ახვლედიანმა თავის სახელოსნოში მოაწყო, ხოლო რიხტერმა მოსკოვში თავისი ბინა დაუთმო ე. ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენას. მხატვრის უახლოეს მეგობართა წრეს ამშვენებდა რიხტერის, გილელსის, ზაკის პედაგოგი – გამოჩენილი მუსიკოსი ჰ. ნეიჰაუზი, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა საქართველო და ხშირად ჩამოდოდა აქ. ე. ახვლედიანისა და მისი წრისთვის დაუვიწყარი იყო „ციხისჯვრის საღამოები“, როცა დასასვენებლად ჩასული ნეიჰაუზისთვის თბილისიდან საგანგებოდ ჩაჰქონდათ პიანინო. ე. ახვლედიანი შთამბეჭდავად აღწერს ამ საღამოებს: «К вечеру, когда в деревне все стихало, Нейгауз начинал играть. Могу сказать, что те, кто слушал его, были счастливые люди. Впечатление от Баха было огромное, непередаваемое – музыка, обступающие нас горы, уютившие на груди тучки, тишина – все сливалось в удивительной гармонии, даже мычание коров где-то далеко, звук лошадиных копыт – не мешали этому великолепию.»⁴⁷ საინტერესოა, რომ თვითონ ნეიჰაუზისთვისაც ბუნებასთან სიახლოვეთ განცდილი მუსიკა, სრულიად განსხვავებული გრძნობების აღმქმრელი იყო. ნ. ურუშაძე იხსენებს: «Г. Нейгауз говорил мне, что никогда и нигде он не играл с таким воодушевлением, как летними вечерами в Цихисджвари, потому что нигде нет такой возможности приблизиться к звездам...»⁴⁸

ე. ახვლედიანი უდიდეს შეფასებას აძლევდა ნეიჰაუზის შემოქმედებით და პედაგოგიურ საქმიანობას, აღფრთოვანებული იყო იმით, თუ როგორ ერკვეოდა მუსიკოსი ფერწერაში, როგორ ყვებოდა ხელოვნებაში ჰარმონიის თაობაზე, მუსიკაზე მსჯელობისას მაგალითები მოჰქონდა ფერწერიდან. ნეიჰაუზისათვის, ე. ახვლედიანის თქმით, ხელოვნებაში მთავარი იყო ჰარმონია. ე. ახვლედიანისთვის კი სწორედ ნეიჰაუზი წარმოადგენდა ასეთ ჰარმონიულ პიროვნებას, რომელიც ქმნიდა ყველასთვის, ვინც თავად

ქმნიდა ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშებს. «Генрих Густавович написал книгу «Искусство фортепьянной игры». Она не только для музыкантов. Она для всех, кто творит по - настоящему, кто одержим своим творчеством. Одержим был Ван-Гог, Гоген, Веронезе, Микеланджело, Полайоло, одержим Рихтер, всех не перечислишь, хотя их не так уж и много».⁴⁹

ასევე ჭეშმარიტ ხელოვანად, ხელოვნებისთვის მებრძოდ და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანად აღიარებს ნეიჰაუზი ე. ახვლედიანს. მხატვრისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამომხატველი ჯ. ნეიჰაუზის წერილები, რომლებიც ინახება ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმში, ხშირად ქვეყნდებოდა სახეადასხვა დროს მხატვრის შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოცემებში. მათში ჩანს აღფრთოვანება მხატვრის ნამუშევრებით, მისი უნიკალური სახლი-სახელოსნოთი და მეგობართა წრით. «Дорогая, прекрасная Елена Дмитриевна! Вот я давно Вас не видел и встреча с Вами в моем любимом, а в Вашем родном городе для меня были радостью и наслаждением... сказать Вам, что я особенно люблю в Вашей живописи? – Что Вы всегда себе верны и вечно меняетесь. Узнать Вас можно по нескольким штрихам, по одному уголку картины... Вы видите перед собой широкий, богатый, разнообразный мир и прежде всего Вашу святую, благословенную Грузию!... А сколько прекрасных минут, часов, дней мне посчастливилось провести в Вашем обществе, среди Ваших и моих друзей...»

ე. ახვლედიანის სახელოსნო პოეტთა და მწერართა თავშეყრის ადგილიც იყო. სახლ-მუზეუმში ინახება წიგნი «Грузинские поэты» (в переводах Б. Пастернака, М., 1946) წარწერით «Елене Дмитриевне Ахвледиани с пожеланием долголетия и богатства. Б. Пастернак. 5 января, 1947 г. Москва». ბორის პასტერნაკი ე. ახვლედიანმა „ცისფერყანწელებისგან“ გაიცნო ჯერ კიდევ 30-იან წლებში. ტიცციან ტაბიძის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნიტა ტაბიძემ მიამბო: „პასტერნაკი 1933 წელს ჩამოვიდა ჩვენთან ოჯახში ნეიჰაუზის ცოლთან და შვილთან ერთად (მაშინ მისი ცოლი ჯერ კიდევ არ იყო). აქ გადაუხადეს არნახული ქორწილი ქართველმა

მწერლებმა... მე და დედა პასტერნაკებთან ერთად ვცხოვრობდით წინანდალში, სადაც ხშირად ჩამოდიოდა მამა, პაოლო იაშვილი, ელიჩკა (დედა მას ჯერ კიდევ თელავიდან იცნობდა), გუდიაშვილი. . . იყო პოეზია, მუსიკა... 1947 წელს, როცა პასტერნაკი ნობელის პრემიაზე წარადგინეს, დაატოვებინეს მოსკოვი დროებით (მარკ მელანი უნდა ჩამოსულიყო მოსკოვში და არ უნდოდათ, რომ პასტერნაკს შეხვედროდა). პასტერნაკმა საქართველო აირჩია. თბილისში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, ამიტომ ნაცნობთა წრე ძალზე შეზღუდული იყო. მე წავიყვანე ელიჩკასთან. პასტერნაკმა მისცა „ჟეგაგოს“ ნაბეჭდი მე-2 პირი, თავისივე ხელით ჩასწორებული და უთხრა: „ვიცი, რომ ამას არასოდეს დაბეჭდავენ და მინდა, რომ შენ აუცილებლად წაიკითხო“ ... 1959 წელს რომ ჩამოვიდა, მაშინაც ჩვენთან ცხოვრობდა. ძალიან უყვარდა ელიჩკას სახელოსნოში ყოფნა, გვერდიდან არ იშორებდა გოგლას და ლადოს“.⁵⁰

1948 წელი მნიშვნელოვანი იყო ელენე ახელედიანის ცხოვრებაში. იგი დაკავშირებულია ცნობილი რეჟისორის მეიერჰოლდის მოსწავლის – ლეონიდ ვარპახოვსკის გაცნობასთან. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია იმით, რომ იზრდება ე. ახელედიანის მოღვაწეობის არეალი სათეატრო მხატვრობაში. ამასთან, საგულისხმოა გაცნობის მიზეზი და სიტუაცია, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ე. ახელედიანის პიროვნულ თავისუფლებას, გაბედულებას, მიუღებელი იდეოლოგიური ნორმებისადმი შეურიგებლობას. იგი დახმარების ხელს უწყდის გადასახლებიდან დაბრუნებულ, მასავით თავისუფლად მოაზროვნე სხვა ერის წარმომადგენლებს. და ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ზვირთდება „ფორმალისმის“ წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ტალღა, როცა ჩნდება იძულებით შექმნილი ნაწარმოებები და, სავარაუდოდ, ხშირ შემთხვევაში ასევე იძულებით შეთხზული „მხატვრული“ კრიტიკა. 1940-იანი წლების მე-2 ნახევარი ემთხვევა საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიური მართვის გაძლიერების ახალ ეტაპს, რომელმაც მკაცრად განსაზღვრა ხელოვნების ამოცანები საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებისთვის. „საკავშირო მოხსენებაში“,

რომლითაც აჭრელებული იყო მაშინდელი პრესა, დ. კაკაბაძესთან, ლ. გუდიაშვილთან და ა. ბაქუეუქმელიძოვთან ერთად გაკრიტიკებულია ელენე ახვლედიანიც. მანამდე კი პირველი დარტყმა მიიღეს მწერლებმა და პოეტებმა. ამ ფაქტით აღშფოთებული ე. ახვლედიანი 1946 წლის 23 სექტემბერს წერს ცნობილ ლიტერატორს ე. ტაგერს მოსკოვში: «Ах, это постановление. Мне так больно за Ахматову, что я и описать вам не могу. Блудница! Монахиня!, у которой блуд смешан с молитвой! Боже! Бред какой! С ума можно сойти... Ахматову! Я не знаю её последних стихов, но ранние, те, что читала, мне нравились. Симон (ჩიქოვანი) мне сегодня сказал, что и про Бориса Леонидовича (პასტერნაკი) проехались малость. Воображаю в каком он настроении! Я читала доклад (ლაპარაკია ა. უდანოვის მოხსენებაზე, რომელშიც უმკაცრესად იყენენ გაკრიტიკებული რუსი პოეტები ლ. ბ.) и меня мороз по коже брал, аж страшно стало. У нас здесь тоже продернули кое-кого из писателей... пробирали молодую поэтессу Каландадзе, которую считают очень талантливой, но Симон в своем докладе её очень хорошо защитил...»⁵¹. აი, ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა ე. ახვლედიანი და მისი მეგობარი მხატვრები კვლავ მხილებულნი არიან ფორმალისმში, როცა ჯერ კიდევ გადასახლებაში იმყოფებიან 1937 წელს დაპატიმრებული მისი ნაცნობები და მეგობრები, ე. ახვლედიანი დაუფიქრებლად იღებს თამამ და არც მთლად ურისკო გადაწყვეტილებას. ნ. ურუშაძე მოკლედ, მაგრამ დასამახსოვრებლად აღწერს ამ ეპიზოდს: «В Магадане отбывал свой срок арестованный в 1937 году режиссер Тбилисского русского ТЮЗ-а М. Вахнянский. Он вместе с Шухаевым и Варпаховским, которые после освобождения должны были поселиться в тени больших городов России, решили обосноваться в Грузии. Приехав в Тбилиси, М. Вахнянский позвонил Елене Ахвледiani, которую давно и хорошо знал. Разговор был коротким: - Эличка, я приехал из ссылки и вместе со мной художник Шухаев и режиссер Варпаховский с семьями. Что мне делать? - Как что делать? Жду вас!»⁵². ასე ჩაეყარა საფუძველი ამ აღამიანების მეგობრობას. ხოლო იმას, რომ

ცნობილი მხატვარი ვასილ შუხაევი, რომელიც შემდგომში თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა, სამუდამოდ დარჩა თბილისში, ე. ახვლედიანის მეგობრობამ და მხარში დგომამ შეუწყო ხელი. შუხაევი და მისი მეუღლე ბოლომდე ე. ახვლედიანის უახლოეს მეგობართა წრეში მოიაზრებოდნენ. რაც შეეხება ლ. ვარპახოვსკის ის დიდხანს არ დარჩა საქართველოში, მაგრამ კონტაქტი მასთან არ გაწყვეტილა. ვარპახოვსკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ე. ახვლედიანის როგორც დაზგურმა ნამუშევრებმა, ისე თეატრალური დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზებმა. ამის შემდგომ იგი იწვევს ე. ახვლედიანს კიევის, მოსკოვის, ლენინგრადის დრამატულ და საოპერო თეატრებში სხვადასხვა სპექტაკლის გასაფორმებლად. ამ პერიოდში კიდევ უფრო ფართოვდება ე. ახვლედიანის ნაცნობთა წრე და მისი შემოქმედების თაყვანისმცემელთა აუდიტორია.

1940-50-იან წლებში თეატრში მოღვაწეობის პარალელურად ე. ახვლედიანის ნაწარმოებებში ჩნდება ომისა და ომის შემდგომი პერიოდის – აღმშენებლობითი შრომის სავალდებულო თემატიკა. აღნიშნული ნამუშევრები, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით უნდა შექმნილიყო, ინახება მუზეუმების ფონდებში. მხატვარს ამ ტიპის ნამუშევრები არასოდეს გამოუფენია საკუთარ სახელოსნოში. ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ საინტერესოა ერთი დეტალი: „სავალდებულო პროგრამის“ შესრულების დროსაც კი ე. ახვლედიანი არ ღალატობს საკუთარ შემოქმედებით მრწამსს და თავისი იდეალის ერთგული რჩება. მაგისტრალების, პესების და სხვა გიგანტური მშენებლობების ფიქსირებისას, იგი მაინც ცდილობს, არ შეფერხდეს შემოქმედებით ძიებებში და ჭეშმარიტად მხატვრული ღირებულებების ნამუშევრები შექმნას, ეინაიდან ე. წ. შემოქმედებითი მივლინებების დროს, მას საშუალება ეძლეოდა, კვლავ უშუალოდ შეეგრძნო მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი საქართველოს ბუნება და დაკვირვებოდა მის თავისებურებას. სავალდებულო სამუშაოთა შესრულების ერთგვარ ანგარიშშიც კი, იგი თავის სათქმელს მაინც ამბობს: «Работать приходилось много. Сделала

თეატრში მოღვაწეობის მრავალი ათეული წლის განმავლობაში ე. ახვლედიანმა საქართველოს, უკრაინისა თუ რუსეთის თეატრებში მრავალ მწერალთან, რეჟისორთან, კომპოზიტორთან, მსახიობთან ურთიერთობაში განიცადა სწორედ ერთობლივი მუშაობით მიღწეული შემოქმედებითი გამარჯვების სიხარული. ამიტომ უკვე 50-იან წლებში ე. ახვლედიანი არა მხოლოდ მხატვართა წრეში, არამედ ზოგადად არტისტულ სამყაროში, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხელოვანია.

1954 წელი აღსანიშნავია ე. ახვლედიანის ბიოგრაფიაში როგორც კინოში მოღვაწეობის დასაწყისი. იგი კოსტუმების მხატვარია ფილმებისა: „ჭრიჭინა“ (1954), „ეთერის სიმღერა“ (1956), „შეწყვეტილი სიმღერა“ (1960). ნ. ურუშაძის საოჯახო ფონდში დაცულია ე. ახვლედიანის მიერ შესრულებული ესკიზები ორი კინოფილმის პირველი ვარიანტებისთვის, რომლებიც შემდგომ აღარ განხორციელებულა. ესაა მსახიობი ტოგონიძე ცისკარას კოსტუმში (ამავე სახელწოდების ფილმის პერსონაჟი) და გ. გეგეჭკორი საიათნოვას კოსტუმში (ს. ფარაჯანოვის ფილმისთვის „ბროწეულის ფერი“). თეატრსა და კინოში მუშაობის დროს ე. ახვლედიანი ქმნის, ერთი მხრივ, მსახიობთა პორტრეტებს კონკრეტული როლისთვის (ასეთებს განეკუთვნება აგრეთვე „ე. ანჯაფარიძე მარგარიტა გოტიეს როლში“) და, მეორე მხრივ – მისთვის განსაკუთრებით ძვირფას ხელოვანთა პორტრეტებსა თუ პორტრეტულ ჩანახატებს „როლს მიღმა“.⁴⁶

1950-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში ე. ახვლედიანი ბევრს მოგზაურობს უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც აწყობს პერსონალურ გამოფენებს. ამავე პერიოდში ბალტიისპირეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობა განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მხატვრისთვის - იგი ბევრს მუშაობს და ქმნის „ტალინის სახურავებისა“ და „ბრატისლავას პეიზაჟების“ ცნობილ სერიას.

1960 წლიდან იწყება ახალი ეტაპი ე. ახვლედიანის ცხოვრებაში, რომელსაც განვიხილავთ ცალკე თავში – „დაბრუნება“.

თავი V დაბრუნება

1960-იანი წლები ნიშანდობლივია ე. ახვლედიანის საბოლოო შემობრუნებით დაზგური ფერწერისაკენ. იწყება მისი შემოქმედების ახალი ეტაპი, რომელიც მთლიანად კონცენტრირებულია პეიზაჟზე. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო იდეოლოგიური „მარწუხების“ ერთგვარმა, შედარებითმა მოშეებამაც. ე. ახვლედიანი ახალი ენერგიით იწყებს თავისი იდეების განხორციელებას ახლა უკვე მთელ თავის შემოქმედებასა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

1960 წელს ე. ახვლედიანს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდება. ამავე წელს თბილისში, სურათების სახელმწიფო გალერეაში, გაიმართა მისი ნამუშევრების დიდი პერსონალური გამოფენა, რომელზეც ძირითადად წარმოდგენილი იყო ბოლო წლებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (ბალტიისპირეთსა და ჩეხოსლოვაკიაში) შესრულებული ნამუშევრები, ადრეული პერიოდის ცნობილ სურათებთან ერთად. დიდი ინტერვალის შემდეგ გამართული ექსპოზიცია. საზოგადოების მიერ ადეკვატურად იქნა აღქმული როგორც ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიებების შემდგომ აღებული ხმამაღალი აკორდი, როგორც საბოლოო დაბრუნება პეიზაჟის სამყაროში. თავის საყვარელ ჟანრს ე. ახვლედიანი დაუბრუნდა როგორც ჩამოყალიბებული ოსტატი საკუთარი თემებითა და ხედვით, მდიდარი პალიტრით და გამოსახვის მრავალფეროვანი საშუალებებით. გამოფენას დიდი გამოხმაურება ჰქონდა ფართო საზოგადოებასა და არტისტულ წრეებში. მან თავი მოუყარა ე. ახვლედიანის ნიჭის თითქმის ყველა თაყვანისმცემელს საბჭოთა სივრცეიდანაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კ. ნეიჰაუზის წერილი, რომელშიც სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ვერ დაესწრო ამ გამოფენას: «Я так жалел, что не мог приехать в Тбилиси в 1960 г., когда была Ваша выставка, о которой я слышал столько восторженных

ОТЗЫВОВ!».⁵⁷ აღნიშნული გამოფენის შემდეგ ე. ახვლედიანი კიდევ უფრო ინტენსიურად გადის პლენერზე, მუშაობს ეტიუდებზე. ამასთან, იზრდება მისი პეიზაჟების თემატური დიაპაზონიც. 1960 წლის დიდი პერსონალური გამოფენის შემდეგ თითქმის ყოველ წელიწადს ფენს სხვადასხვა დროს შესრულებულ ნამუშევრებს უკვე თემატური სერიების სახით.

პეიზაჟისტი-პლენერისტთა ჯგუფი

1961 წელს ე. ახვლედიანი აყალიბებს პეიზაჟისტი-პლენერისტთა ჯგუფს და აწყობს ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო მთათუშეთით და შემდგომ საქართველოს სხვა კუთხეებიც მოიცვა. აღნიშნული ჯგუფის შექმნამ დიდი როლი ითამაშა ქართული პეიზაჟური მხატვრობის შემდგომი განვითარების საქმეში. ალბათ, აქ დავესვამდით წერტილს „ჯგუფის“ საქმიანობაზე, აღნიშნული ფაქტი ე. ახვლედიანის არაჩვეულებრივი ბიოგრაფიის ჩვეულებრივი მოვლენა რომ ყოფილიყო. „ჯგუფის“ დაარსების დღიდან მისი თითქმის ყოველდღიური მუშაობა პლენერზე და პერიოდული შემოქმედებითი ანგარიშები თემატური გამოფენების სახით ფართო საზოგადოების და სპეციალისტთა ყურადღების ობიექტებს არ მოშორებია. ამის დასტურია თუნდაც 60-იანი წლების ბიბლიოგრაფია.⁵⁸ მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ „ჯგუფის“ საქმიანობა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ე. ახვლედიანის ბიოგრაფიის კონკრეტულ მონაკვეთში გამოვლენილი მორიგი შემოქმედებითი ინიციატივის, არამედ ზოგადად, მის ცხოვრებაში შემდგარი არსებითი მოვლენის ჭრილში. ამისათვის უნდა გავიხსენოთ რამდენიმე მომენტი მხატვრის ცხოვრებიდან: 1. შემოქმედების ადრეულ პერიოდშივე გამოვლინდა მისი განსაკუთრებული ლტოლვა და სიყვარული პეიზაჟის მიმართ; 2. თითქმის 20 წლიანი პაუზის შემდეგ, იგი უბრუნდება იმ ჟანრს, რომლითაც დაიწყო მოღვაწეობა. თავისი რეზონანსით, „დაბრუნება პეიზაჟთან“

იყო ტრიუმფალური. ეს ხდება „ჯგუფის“ შექმნამდე ერთი წლით ადრე. 1960 წლის დიდი პერსონალური გამოფენის შემდეგ, ქართული პეიზაჟური სკოლის ისტორიის განხილვისას, ე. ახვლედიანს ასახვლებენ სამეუღლში ფიროსმანსა და დ. კაკაბაძესთან ერთად. 3. წარმატებისა და აღიარების მიუხედავად, ე. ახვლედიანს აქვს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და, მისი თქმით, სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ შექმნილა საქართველოს ბუნების განუმეორებელი სილამაზის ამსახველი ტილოები. ამ სულისკვეთებას ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს 1961 წლის პუბლიკაციაში მოტანილი ე. ახვლედიანის სიტყვები: «Видели Рериха, восторгались небось?... А знаете, что я испытывала, когда смотрела на выставку? Стыд. Да, да, именно стыд и угрызения совести, Рерих сделал красоту Гималаев достижением человека. А чем хуже наша Сванетия, Мта-Тушети, да каждый уголок Грузии! или мы ослепли... Не видим что ли их красоты? Некоторые наши молодые не пишут с этюдов, сочиняют натуру, ленятся, это – преступление.»⁵⁹ 4. ე. ახვლედიანი ხედავს პეიზაჟისტთა ახალი სკოლის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომლის ძირითადი პრინციპია არა სტუდიური მუშაობა, არამედ ეტიუდები პლენერზე, ვინაიდან თვითონ, როგორც პეიზაჟისტი მხატვარი, სწორედ პლენერზე მუშაობამ ჩამოაყალიბა. „პლენერის სიყვარული სკლიფასოვსკისგან გამომყვა. ეტიუდი, ეტიუდი, ეტიუდი და ეტიუდი... (ახლა რატომღაც კლასებში იკეტებიან).“⁶⁰ 5. სრული პროფესიული სამხატვრო განათლება ე. ახვლედიანს არ მიუღია, მან პროფესიული დაოსტატების სხვა სკოლა გაიარა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში იგი რამდენჯერმე მიიწვიეს პედაგოგად, მაგრამ უარი განაცხადა: „მხატვრებს ვერ ვასწავლი. ვიცი, ტექნიკას უნდა ვასწავლიდეთ. არ კმარა თვითონ შეგვეძლოს ხატვა; სხვების სწავლების უნარიც უნდა გექონდეს, როგორც ამას შუხაყევი ამტკიცებდა, მაგრამ მე არ შემიძლია.“⁶¹ 6. თავის მისიას ე. ახვლედიანი ხედავს არა სწავლებაში, არამედ მხატვართა პლენერზე გაყვანაში, რათა ბუნებამ თავად ასწავლოს მათ. მას სურდა მეტი ყურადღება დათმობოდა საქართველოს

პეიზაჟს, რაც აღემატებოდა ერთი ადამიანის შესაძლებლობებს. სწორედ ამან განაპირობა „ჯგუფის“ შექმნა.

ამდენად, პლენერისტთა ჯგუფის ჩამოყალიბებით ე. ახელედიანმა, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა პეიზაჟისტთა ახალ სკოლას, რომელსაც ამოცანად დაუსახა უკვე შექმნილი, თუნდაც გენიალური სტერეოტიპებისგან გათავისუფლება და საკუთარი ხედვის გამომუშავება. დ. კაკაბაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში ე. ახელედიანი იხსენებს, თუ როგორ უჭირდათ „ჯგუფის“ წევრებს იმერეთის პეიზაჟის კაკაბაძისეული ხატებისგან თავის დაღწევა: «Не так давно с группой художников я была в Имеретии. Куда ни глянешь – пейзажи Д. Какабадзе. Нам было очень трудно писать. Подражать, конечно, не хотелось, а его пейзажи все время стояли перед глазами.»⁶² „ჯგუფის“ ჩამოყალიბებით 63 წლის მხატვარმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ახალგაზრდული შემართებით შეუძლია საკუთარი იდეის ხორცშესხმა (მხატვრების შეკრება, პლენერზე გაყვანა, გამოფენების ორგანიზება) და ბოლოს, პლენერისტთა ჯგუფის ჩამოყალიბებით ე. ახელედიანმა მოახდინა მთელი მისი პროფესიული გამოცდილების აკუმულირება და, თუ შეიძლება ითქვას, პედაგოგიური მისიის შესრულება. ამასთან, თავისი მასშტაბური გეგმებისა და ოცნებების განსახორციელებლად ე. ახელედიანს არ აკმაყოფილებდა ეს. ითვალისწინებდა რა საბჭოთა რეჟიმში ხელოვანის ნაფიქრალისა და ნააზრვეის თავისუფლად წარმოჩენის საქმეში არსებულ სირთულეებს (რის გამოც მას და მისი პლეადის მხატვრებს ათეული წლების განმავლობაში უჭირდათ საკუთარი პროდუქციის საჯაროდ გატანა), ე. ახელედიანს სჭირდებოდა კიდევ რაღაც, კულტურის ცენტრის, გალერეის ან მუზეუმის მსგავსი, სადაც ითქმებოდა თავისუფალი „შემოქმედებითი სიტყვა“ და სადაც ყველას ყოველთვის შეეძლებოდა მისვლა. ასეთად მას ეგულებოდა საკუთარი სახლი-სახელოსნო.

ელენე ახვლედიანის სახელოსნოში

ელენე ახვლედიანის სახლი და სახელოსნო თავიდანვე ერთი განუყოფელი ორგანიზმი იყო. მხატვარს ცალკე საძინებელი ოთახიც კი არ ჰქონდა გამოყოფილი. «... спала именно в мастерской, среди красок, разбавителей, натянутых и свернутых холстов... Невозможно было ей без них.»⁶⁵, რაც, უდავოდ, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მთლიანობის სიმბოლოდ უნდა აღვიქვათ. როგორც მისი თანამედროვეები აღწერენ, სახლის კარი არასოდეს იკეტებოდა და მუდამ ღია იყო როგორც ახლობლებისთვის, ისე ხელოვნების ყველა ჭეშმარიტი დამფასებლისთვის.

ე. ახვლედიანი თავის სახლს უთმობს ხელოვნების მოყვარულთ და პროფესიონალებს შეხვედრების, საღამოების, კონცერტების გასამართავად. ასე გადაიქცა მხატვრის სახლის-სახელოსნო ქართული კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვან კერად.

1960-იან წლებში ამ ფუნქციას ემატება საექსპოზიციო დარბაზის როლი. საკუთარ სახლში ნერგავს ე. ახვლედიანი სხვადასხვა მხატვრის პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენების გამართვის ტრადიციას. ექსპონენტთა ვინაობა და გამოფენების თემა თავისთავად მეტყველებს ე. ახვლედიანის დამოკიდებულებაზე თითოეული მათგანის შემოქმედებისა და საქმიანობის მიმართ. მაგალითად, 1960 წელს სახელოსნო ეთმობა კლარა კეესის შემოქმედებას, რომელიც სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ იწყებს მუშაობას მხატვრად ქართული არქეოლოგიის სფეროში. მისთვის საქართველო მეორე სამშობლოდ იქცა. ე. ახვლედიანი დიდად აფასებდა მის მოკრძალებულ წვლილს სამამულო არქეოლოგიაში და ხედავდა, რომ მოწოდებით იგი მაინც მხატვარია, მაშინაც კი, როცა ასრულებს „დამხმარე“ სამუშაოებს – იქნება ეს ძველი სამარხი, ბუნების „ნაგლეჯი“ თუ ძველი მეგრული ფაცხა.⁶⁶

1966 წელს იმართება გარდაცველილი მხატვრის – ლეო ძაძამიძის – პერსონალური გამოფენა, რომლის შემოქმედების ძირითადი მოტივია სამეგრელოს პეიზაჟი. ექსპოზიციისაზე წარმოდგენილი იყო პეიზაჟისტის 70 ნამუშევარი.

მხატვრის სახელოსნო რამდენჯერმე დაეთმო პეიზაჟისტ-პლენერისტთა ჯგუფურ გამოფენებს, რომლებზეც ექსპონირებული იყო საქართველოს სხვადასხვა მხარეში ე. ახვლედიანის ხელმძღვანელობით შემდგარი ექსპედიციების დროს შესრულებული პეიზაჟები. ყოველი ექსპედიციის დასრულების შემდეგ გამართულმა გამოფენებმა საანგარიშო ხასიათი შეიძინა და ბიძგი მისცა ე. ახვლედიანის გარშემო სამი თაობის მხატვართა გაერთიანებას. ამის დასტურია 1968 წლის გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო სამი თაობის მხატვართა ნამუშევრები. უფროსი თაობიდან: ვ. შუხაევი, პ. ბლიოტკინი და თ. ნალბანდიანი; საშუალო თაობიდან: თ. გუგუშაშვილი, ნ. ფალავანდიშვილი, რ. ჯავრიშვილი, ი. გიგოლაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, ვ. ბელეცკაია, ნ. ალექსანიანი, ც. შანშიაშვილი, ნ. შალიკაშვილი; ახალგაზრდები: ა. კაკაბაძე, მ. ახობაძე (მხატვრები), არქიტექტორი რ. ბერიძე, სპი-ის სტუდენტი ნ. ბლიოტკინი.⁶⁵ აღნიშნული გამოფენა კიდევ ერთი თავისებურებით ხასიათდება: იგი არ იყო ექსპედიციაში ერთად ყოფნის შედეგი, მაგრამ ის, რაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე შექმნეს მხატვრებმა, მაინც ერთად გამოფინეს.

1968 წელს მხატვრის სახელოსნოში გაიმართა ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა.

ე. ახვლედიანი სერიოზულ დაინტერესებას ამჟღავნებს პროფესიონალი მხატვრების მიერ ხანდაზმულ ასაკში შესრულებული ნამუშევრების მიმართაც. ამის საუკეთესო მაგალითია ცნობილი მხატვრისა და პედაგოგის ვასილ შუხაევის პერსონალური გამოფენა, რომელიც მოეწყო 1969 წელს და რომელზეც ექსპონირებული იყო 80 წლის მხატვრის მიერ შესრულებული ახალი ნამუშევრები. აღნიშნულ ნამუშევრებსა და, ზოგადად, ვასილ შუხაევის შემოქმედებას ე. ახვლედიანმა საგანგებო სტატიაც მიუძღვნა.

1970-იან წლებში სახელოსნოში პერიოდულად იმართება ვ. ბელეცკაიას, ა. ბალაბუევის, ლ. ბოიახჩიევის, ვ. ბუბნოვას, პ. ბლიოტკინის, ნ. ალექსანიან-შაჰაზიზის პერსონალური გამოფენები.

ე. ახვლედიანის მიერ თავის სახელოსნოში მოწყობილ მრავალ გამოფენას შორის ერთ-ერთი ყველაზე

დასამახსოვრებელი იყო 1975 წლის გამოფენა, რომელსაც მხატვარმა უწოდა „განტვირთვა“. ეს იყო სვიატოსლავ რიხტერის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო აკვარელით შესრულებული პეიზაჟები. მოგვიანებით მუსიკოსი მადლიერებით გაიხსენებს არაჩვეულებრივი სახელოსნოს კეთილ დიასახლისს: «Для меня Елена Ахвледiani была не только другом, она открыла меня как живописца, за это я ей безгранично благодарен. Горжусь, что моя первая персональная выставка состоялась именно в этом доме, где жила и работала одна из лучших представительниц грузинского советского искусства.»⁶⁶

60-იანი წლების მეორე ნახევარი ხასიათდება ე. ახვლედიანის ნამუშევრების პერსონალური გამოფენების სიმრავლით როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1965 წელს ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართული თემატური გამოფენა მიეძღვნა თბილისს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ძველი და ახალი თბილისის პეიზაჟების უნიკალური სერია, რომელშიც ჭარბობდა 60-იან წლებში და განსაკუთრებით – ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში შექმნილი სურათები. ექსპოზიციას ამშვენებდა აგრეთვე ადრეული პერიოდის რამდენიმე პეიზაჟი. ამასთან, პეიზაჟების მოტივებს შორის ყველაზე შთამბეჭდავი იყო წარმავალი ქალაქის თემა და ამ ლაიტმოტივის სიმბოლო – სურათი „უკანასკნელი მოპიკანი“.

1967 წელს მოსკოვში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილ პერსონალურ გამოფენას დიდი რეზონანსი ჰქონდა. აქვე ე. ახვლედიანს იწვევენ საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში პერსონალური გამოფენის გასამართად, თუმცა იგი თანხმდება მხოლოდ ტალინზე.

იმავე 1967 წელს ტალინში იმართება ე. ახვლედიანის და ქ. მაღალაშვილის ნამუშევრების გამოფენა, რომელმაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან მიიზიდა ექსპონენტების შემოქმედების დამფასებლები. აღფრთოვანებული ს. რიხტერი 1967 წლის 8 მარტს წერს:

«...первое большое впечатление начала 67-го года – выставка Елены Ахвледиани в Таллине! Трижды смотрел: - реванш, после того, как остался перед закрытой дверью её московской выставки (пришёл, конечно, в понедельник...) И с каким удовольствием смотрел!... Прекрасный «Старый Тбилиси» изменяется на глазах... В последнем цикле 65-66гг. я чувствую особенно большую живописную ценность, он даже превзошёл прежние. Я счастлив, что увидел такой расцвет: я ведь 23 года близко знаком с творчеством Ахвледиани, пережил как-то вместе с ней её «взлёты» и «падения». В этом смысле периоды в её искусстве отражают как бы периоды и моей собственной жизни.»

1968 წელს მხატვრის სახელოსნოში იფინება სხვადასხვა დროს 'ხამთრის თემაზე შესრულებული ნამუშევრების „თეთრი სერია“, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არა მხოლოდ ე. ახვლედიანის შემოქმედებაში, არამედ ზოგადად ქართული პეიზაჟური ხელოვნების ისტორიაში.

1969 წელს ე. ახვლედიანი მონაწილეობს გერმანიაში გამართულ ქართული კულტურის დღეებში. ამ დროისთვის მისი პოპულარობა იზრდება. იგი უყვართ არა მხოლოდ სამშობლოში..

1971 წელს თბილისის თემაზე შექმნილ ნამუშევართა სერიისთვის მას 'შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა (ქალთა 'შორის – პირველს). ქართველმა მხატვრებმა მხარტვეს მას ეტრატის, რომელიც დღეს მის სახლ-მუზეუმშია გამოფენილი. ეტრატზე წერია: „განგება რომ ქვეყანას მოწყალების თვალთ გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე ადამიანს, შემოქმედებითი მადლით ცხებულს. ჩვენდა თავმოსაწონებლად მოვევლინე კიდევ საქართველოს, შეიყვარე იგი თავდავიწყებით და უმღერ მთელი შენი სიცოცხლე მის მთა-ბარს, ველებს, ძველ ციხე-კოშკებს, სოფლებს, ქალაქებს, შენს ღამაზე თბილისს ... საქართველოში ბავშვიც არ მოიძებნება შენი სახელი რომ არ სმენოდეს. ვინ არ ამაყობს იმით, რომ ესოდენ მაღალნიჭიერი და ძლიერი ქართველი ხარ სულით ხორცამდე. ხელგაშლილობა შენი ცნობილია საყოველთაოდ. გასცემდი მუდამ საუკეთესოს და მუდამ უხვად – „... ზღვათაცა შესდის და გაედინების“! ვიცით, რა

არის სიკეთე შენი, თუ უჭირს ვისმე. ვიცით, რა არის რისხვა შენი, თუკი სამართალს დაარღვევს ვინმე. ჩვეულებრივი საზომით არაფერში გაიზომები. კეთილშობილი სული შენი და შენი ნიჭი დროსაც ერევა და ხარ მუდამ ახალგაზრდა, ხალისიანი, კაცთმოყვარე გასაკვირელი ... მართლაც რომ „ლეკეი ლომისა სწორია...“ მაშ, ვის მკერდს უნდა ამშვენებდეს ოქროზე გამოკვეთილი ხატი რუსთაველისა, თუ არა შენსას... დიდება შენდა! ქართველ მხატვართა დიდი ლაშქარი მდაბლად თავს გიხრის.“

1971 წლის მაისში, გამომცემლობა „მერანის“ თაოსნობით, მოეწყო ე. ახვლედიანის პერსონალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დროს შესრულებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

1973 წელს ე. ახვლედიანს იწვევენ კონსულტანტად მხატვრული ფილმისა „მზე შემოდგომისა“. ამ დროისთვის ის უკვე აღიარებულია როგორც „ქართული მიწის მეხოტბე“, „საქართველოს ბუნების მშვენიერების მომღერალი“, „თეთრი ზღაპრის მესაიდუმლე“ და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ჩნდება ცნება „ახვლედიანის თბილისი“.

1975 წლის სექტემბერი – უაღრესად წარმატებული და ხმაურიანი იყო მოსკოვში, რიხტერების ბინაში მოწყობილი პერსონალური გამოფენა, რომელსაც „გრანდიოზული“ უწოდეს და რომლის სანახავადაც მოსკოვში ჩადიდნენ თბილისიდან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ე. ახვლედიანის მეგობრები და მისი შემოქმედების დამფასებლები. «Выставка длилась долго. В организации её ощущались размах и широта... Все московские почитатели приходили сами и приводили своих друзей. В иные дни бывало по 50-60 человек... Художница уже немолодая, красивая, с седой пушистой головой, ходила между посетителями, и под несколько нарочитой мрачностью и резкостью пыталась скрыть удовольствие от явного успеха выставки, а успех был шумный!»⁶⁷.

1975 წლის 30 დეკემბერს ე. ახვლედიანის ინიციატივით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შენობაში მოეწყო მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა. სიტყვით გამოსულის დროს იგი მოულოდნელად ჩაიკეცა. „მოკვდა ისე, როგორც მხოლოდ მას შეეფერებოდა სიკვდილი... მისივე

თაოსნობით მოწყობილი გამოფენის დახურვის დროს, თავისი მეგობრებისა და პატივისმცემლების წრეში, როცა მადლობისა და სიყვარულის სიტყვებით მიმართავდა საზეიმოდ შეკრებილ საზოგადოებას, უცებ ჩაიკეცა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ გრძნობაზე არც მოსულა – წავიდა სიხარულის წუთებში. ქართულ ფარდაგადაფარებულ ტახტზე ესვენა სახელოსნოში, თავისი სურათებით გარშემორტყმული. ეკიდა ქეთოს მიერ შესრულებული მისი პორტრეტი... ეწყო ყვავილები, ხის ფესვები და კუნძები... უკრავდნენ თენგიზ ამირეჯიბი, ლიანა ისაკაძე, ნანა დიმიტირიადი, გულნარა ქავთარაძე. იმღერა იშხნელის ქალმა. სურათების გალერეაში კი მგონი მთელმა თბილისმა ჩაიარა მის კუბოსთან... ყველას უყვარდა, ყველას თვალში „სხვანაირი“, განსაკუთრებით პოეტური და რომანტიკული ფიგურა იყო და ბევრი არ ყოფილა ასეთი პოპულარული ქართული ხელოვნების მოღვაწეთა შორის.“⁷⁴

1978 წელს მის სახლში გაიხსნა მუზეუმი, რომელიც დღესაც აგრძელებს ელენე ახვლედიანის ტრადიციებს.

ახვლედიანის თბილისი

დაეუბრუნდეთ მის „უკანასკნელ მოპიკანს“, რომელსაც 1965 წლის გამოფენის დროს უწოდეს „წარმავალობის შესახებ ცხოვრების გარდუვალი კანონის ამსახველი პოემა“, „სურათი განწირულობის იდეის ფილოსოფიური ქვეტექსტით“ და ა. შ. ბევრს წერდნენ „თბილისის სერიის“ შესახებ, მაგრამ პუბლიკაციათა სიმრავლის მიუხედავად, დამოკიდებულება სერიის მიმართ ცალსახაა. საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ეს ამონარიდი: «Сама тема серии – Старый Тбилиси, ставит художницу в положение историографа, её задача - показать именно уходящий и наполовину уже ушедший город... где доживает последние дни старый патриархальный уклад жизни. И всё же в пейзажах серии нет тоски по уходящему прошлому. Их никак нельзя назвать «уходом от

современности». Они написаны с позиции современного человека, отличительной чертой которого всегда остаётся уважение к истории своего города, своей страны».

სინამდვილეში ე. ახვლედიანი არასოდეს ყოფილა გასაქრობად განწირული თბილისის მშვიდად მჭერეტელი, აღმწერი, ისტორიოგრაფი. „უკანასკნელი მოკიკანი“ და მთელი სერია „ძველი თბილისისა“ წარმოადგენს მოწოდებას, განგაშს და მართლაც რომ ქვათა დაღადს! ე. ახვლედიანმა მიზანს მიაღწია: თუ 60-იან წლებში ძველი თბილისის რეანიმაციის იდეას მაინც სკეპტიკურად უყურებდნენ, დადგა პერიოდი (მართალია, მოგვიანებით), როცა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ძველი თბილისის არქიტექტონიკისა და კოლორიტის აღდგენას და უკვე ე. ახვლედიანს სთხოვენ რჩევას ან მის სურათებზე აკეთებენ აპელირებას. 1973 წელს კი იგი კონსულტანტია ფილმისა, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს ძველი ქალაქის ცხოვრების წესის აღდგენა, იერის შენარჩუნება და, რაც მთაყარია, მობინადრეთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება, სახლების კეთილმოწყობა. ეს ახვლედიანისეული თბილისის მოდელია – სისხლსავესე, მსქეფარე სიცოცხლითა და განუმეორებელი სახით ნიშანდებული თბილისი.

70-იან წლებში თბილისი და ელენე ახვლედიანი ერთმანეთის გარეშე უკვე ვერავის წარმოუდგენია. მას შეაქვს განსაკუთრებული მუხტი და სიახლე ქალაქის ცხოვრებაში. მისი ინიციატივით დამკვიდრდა ყოველწლიურად აპრილის თვეში მხატვართა კვირეულის ჩატარება და სურათების გამოფენა-გაყიდვა, რომელზეც მასაც გაჰქონდა თავისი ნამუშევრები ხელმისაწვდომ ფასებში, რათა სურათების შექმნის ყველა მსურველს ჰქონოდა მათი ყიდვის შესაძლებლობა. მისი თანამედროვენი იხსენებენ, რომ ხშირად იგი უბრალოდ ჩუქნიდა თავის ნამუშევრებს მათ, ვისაც მინიმალური თანხის გადახდის საშუალებაც არ ჰქონდა.

მხატვრის კვირეული გადაიქცა ნამდვილ თბილისურ დღესასწაულად, რომელსაც ახალ-ახალი ნიუანსებითა და შტრიხებით ავსებდა ე. ახვლედიანი. მაგალითად, მხატვრის კვირეულის დღეებში მისი ინიციატივით ტარდებოდა ე. წ.

„კაპუსტნიკები“, როგორც თავად უწოდებდა. ქალბატონმა ნატო ფალავანდიშვილმა გაიხსენა ერთ-ერთი ასეთი აქცია, როცა კონსერვატორიის დიდ დარბაზში მთელი პირველი განყოფილება დაეთმო მხატვართა კონცერტს, მეორე განყოფილება კი – ზურაბ სოტკილაეას. „ყველა ბილეთი გაყიდული იყო, დარბაზი – სავსე. მხატვრები ვასრულებდით უცნაურ ცეკვებს. მერე „ეტიუდნიკებს“ ვიკიდებდით ზურგზე და გავდიოდით სცენიდან. მაყურებელთა აუდიტორია საკმაოდ სოლიდური იყო და მქუხარედ გვიკრავდა ტაშს. მაშინ, ცოტა არ იყოს, მაკვირვებდა ეს ოვაციები. ახლა ვხვდები, რომ გასაოცარი არაფერი იყო, ვინაიდან დამდგმელი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი იყო, ქორეოგრაფი – დავით მაჭავარიანი, ხოლო კოსტიუმები თვით ქალბატონმა ელენემ შეგვიკერა საკუთარი ესკიზებით“. კონცერტიდან შემოსულ თანხებს ე. ახვლედიანი ხელმოკლე მხატვართა ოჯახებს უნაწილებდა.⁶⁸ ე. ახვლედიანის თაყვანისმცემელთა და, შესაბამისად, მისი სურათების ფლობის მსურველთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. ასევე განუზომლად დიდია მეგობართა და ახლობელთა წრე. მხატვარს უნდა ყველას უწილადოს სიტბო, ყურადღება და მისი „ფუნჯის ელვარება“ და ... პოულობს კიდევ ორიგინალურ გზას მცირე ზომის ღია ბარათების სახით, რომლებზეც ათავსებს საკუთარ კომპოზიციებს. მრავალ ოჯახში დღემდე სათუთად ინახება ე. ახვლედიანის მინიატურული პეიზაჟები – მისალოცი ბარათები.

ე. ახვლედიანი, მისი წრე და სახლი განსაკუთრებულ კოლორიტულ, ჭეშმარიტად თბილისურ მოვლენად იქცა. თბილისის ფენომენმა – უმდიდრესი ქართული ხალხური ხელოვნების, აღმოსავლურ და დასავლეთ-ევროპულ კულტურათა შერწყმა-შეჯვარების შედეგად წარმოქმნილმა უნიკალურმა ნაზავმა შექმნა ასევე უნიკალური ფენომენი „თბილისის სკოლა“.

„თბილისის სკოლამ“, ქართველების გარდა, გამოზარდა თბილისში და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე სხვა ერის წარმომადგენლები. ქართული ხალხური შემოქმედება, თბილისური ტრადიციები კვებავდა მათ „თბილისური

ცნობიერებით“, ბუნებასთან, გარე სამყაროსთან, ადამიანებთან ურთიერთობის თავისებურებით, რაც საბოლოოდ თითოეული მათგანის ცხოვრების წესად გარდაიქმნებოდა. ასე ჩამოაყალიბა თბილისმა ბაუბუქ-მელიქოვი, ზდანეიჩივი, ფარაჯანოვი, დილბარიანი, ვალიშეკსკი, ბლიოტკინი და მრავალი სხვა. ამ თვალსაზრისით, ე. ახვლედიანის წრე, მისი გარემოცვა თბილისურ ტრადიციებს აგრძელებს. ე. ახვლედიანის სახლი-სახელოსნო გადაიქცა ახალგაზრდა მხატვართა დაფრთიანების კერად.

ე. ახვლედიანის მოღვაწეობა მჭიდრო კავშირშია ქართველ მეცნიერთა, ხელოვანთა საქმიანობასთან და მათი ურთიერთობების გაღრმავებასთან საქართველოს გარეთ მოღვაწე კოლეგებთან. ფაქტობრივად, მისი სახლი საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა. „ყველა და ყველაფერი საუკეთესო თბილისს!“ – ეს იყო ე. ახვლედიანის მოწოდება. იგი საოცრად უხდებოდა და ავსებდა ქალაქს. ამდენად, თბილისსაც უთუოდ რაღაც დააკლდებოდა, ელენე ახვლედიანი რომ არ ჰყოლოდა. ზოგჯერ მას თბილისის სიმბოლოდაც კი აღიქვამდნენ. ამიტომ სრულიად დამაჯერებლად და გადაუჭარბებლად გვეჩვენება მარია გრინბერგის სიტყვები, რომლითაც მან ოდისეი დიმიტრიადის თავაზიან მოწვევაზე: ხომ არ აპირებთ ახლო მომავალში თბილისში ჩამოსვლას, ნაღვლიანად უპასუხა: *‘Без Элички я не мыслю себя в Тбилиси’*.⁶⁹

ს. ფარაჯანოვი ხშირად იმეორებდა: „თბილისი ჩემთვის ელენე ახვლედიანია“. მას რომ შესაძლებლობა ჰქონოდა, ალბათ იური გაგარინის მაგალითს გაიმეორებდა – კოსმოსში რომ გამოხატა ანა მანიანის მიმართ.

ამის თქმის საფუძველს გვაძლევს კიევის სადგურზე მომხდარი ფაქტი, რომლის მოწმენი გახდნენ გერმანიაში ქართული კულტურის დღეების მონაწილე საქართველოს დელეგაციის წევრები: «Поезд точно подъехал к платформе и я в окне международного вагона увидела Эличку и известную грузинскую драматическую актрису Верико Анджaparидзе. Серёжа (Параджанов) развернул палки, они оказались лозунгом, на котором было написано: «Да здравствует Елена Ахвеледiani!».

Все заплодировали, а мы с Серёжей от Элички получили нагоняй»⁷⁰.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ე.ახველდიანის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა მხატვრის როლი ძველი თბილისის შენარჩუნების საქმეში შემდეგი სიტყვებით შეაფასა: „თბილისის საპატიო მოქალაქეობას პირველებს (რა ვუყოთ, რომ, სამწუხაროდ, გარდაცვალების შემდეგ!) ე. ახველდიანს და ი. გრიშაშვილს მივანიჭებდი. ერთმა ფერებში, მეორემ – სიტყვით კვლავ შექმნეს ძველი თბილისი, რომელიც უკვე აღარ იყო და შთამომავლობას შემოუნახეს, რომ მკედრეთით აღმდგარიყო კიდევ უფრო მომხიბვლავი და თანამედროვე“.

თვითმყოფადი შემოქმედებისა და ფართო დიაპაზონის საზოგადოებრივი მოღვაწეობის გარდა, არსებობს ე. ახველდიანის საყოველთაო აღიარების კიდევ ერთი მიზეზი – ადამიანური თვისებები. მისი ფსიქოტიპი არ ჯდება ვიწრო სტერეოტიპულ ჩარჩოში პიროვნული მახასიათებლების უნიკალური ნაზავის გამო. ამდენად, მართებული იქნება ე. ახველდიანის პიროვნების წარმოჩენა გავრცელებული ეპითეტების გარეშე, ფაქტებზე დაყრდნობით.

თავი VI

რამდენიმე შტრიხი მხატვრის ფსიქოლოგიური პორტრეტისთვის

ჯერ კიდევ ბავშვობაში ე. ახელედინი ქვეცნობიერად განიცდის მოზღვაებულ მიდრეკილებათა დაკმაყოფილების საჭიროებას და ცდილობს იპოვოს შინაგანი ტემპერამენტის პროექციის საშუალებები, რაშიც ეხმარება

ზუნებრივი სითამამე და ერთგვარი ექსტენცრულობა:

– ანა ვარდიაშვილთან ერთად ხშირად გამოდის საოჯახო კონცერტებზე, სადაც ასრულებს პოპულარულ საოპერო არიებს;

– ბავშვობიდან ხატავს. ადრეულ ნამუშევრებში უკვე ჩანს ინტერესი ქართული პეიზაჟისა და ყოფისადმი;

– არ ერიდება საკუთარი „შემოქმედების“ პრეზენტირებას. ბავშვობიდან ის უკვე ავლენს ლიდერის თვისებებს თბილისის ქალთა გიმნაზიაში მისვლისთანავე. გიმნაზიელი მეგობარი იხსენებს, რომ შესვენების დროს, ელიჩკას ინიციატივით, სულ რამდენიმე წუთში სრულიად შეცვალეს საკლასო ოთახის ინტერიერი; გადაადგილეს ავეჯი, კარადაზე აღმართეს აპოლონის თაბაშირის თაყი, ხოლო კედლებზე გააკრეს მოსწავლეთა ნამუშევრები კანცელარიიდან მოპარული ჭიკარტებით. ეს იყო ე. ახელედინის პირველი არაოფიციალური ჯგუფური გამოფენა, რომელიც მთელმა გიმნაზიამ დაათვალიერა.

– თანაკლასელები იხსენებენ ერთ დღეს, რომელმაც შეძრა მთელი გიმნაზია. ამ დღეს ელიჩკა მივიდა მოკლედ შეკრეჭილი თმით, რაც მაშინ არნახულ სითამამედ ითვლებოდა გიმნაზიელისთვის, ვინაიდან ყველა გოგონა ატარებდა გადაწეულ თმას და ნაწნავებს. სხვები იხსენებენ „ძალიან ღამაზ“ და „ძალიან მოუსვენარ“ ელიჩკას, რომელსაც უყვარდა კიბეების მოაჯირზე ჩასრიალება და რომელიც „არ იკლავდა თავს რევერანსებით“ მაშინ, როცა სხვებისთვის ეს აუცილებელი იყო პედაგოგებთან შეხვედრისას.

– როცა ე. ახვლედიანის სითამამესა და გაბედულებაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პარიზში – მსოფლიოს კულტურათა ცენტრში, ახალგაზრდა ქალი მართავს პერსონალურ გამოფენას, ყოველ წელიწადს მონაწილეობს ყველაზე პრესტიჟულ გამოფენებში და მიუხედავად არაჩვეულებრივი ქალური მომხიბვლელობისა, არც ერთხელ არ ფენს თავის ნამუშევრებს ქალთა გამოფენაზე, რადგანაც არ ითხოვს კომპრომისს სუსტი სქესის გამო;

– ე. ახვლედიანის პირად არქივში დაცულია მოგონება, რომელიც ასახავს ერთ-ერთ ყველაზე მხიარულ ეპიზოდს პარიზში მყოფი ქართველების თავყრილობისა და ამავე დროს – სამშობლოს მონატრების გრძნობას: „14 ივლისს – ბასტილიის აღების დღეს, რომელსაც მთელი პარიზი მხიარულებით აღნიშნავს ხოლმე, ჩვენც ქართული ცეკვით ჩაგებით საერთო მხიარულებაში. მით უმეტეს, რომ ჩვენ შორის იყო ისეთი ჩინებული მოცეკვავე, როგორიცაა ლადო გუდიაშვილი. დათიკომ მუსიკალური თანხლება იკისრა – სკამზე დასცხო დიპლიპიტო. თვითონვე ეცინებოდა თავის როლზე და რიტმი ამის გამო აურ-დაურია. სკამი მე გადმომცა, თვითონ კი თავგამოდებით ტაშს უკრავდა. არანაკლები თავგამოდებით ცეკვადა ლადოც... მოულოდნელად ცეკვაში ქეთო მაღალაშვილიც ჩაება. ვიღაცამ სკამი ხელიდან გამომტაცა... ქეთოს მეც ავყევი და ცეკვაში დათიკო გამოვიწვიე... საიდანღაც გაჩნდნენ და შემოგვიერთდნენ სხვა ქართველებიც. ფრანგებმა მიატოვეს თავიანთი ცეკვა და ჩვენს ფერხულში ჩაებნენ“;

– პარიზში ე. ახვლედიანის სახელოსნო განთავსებული იყო ატელიეების კომპლექსში, რომელსაც ფიჭისებური კონსტრუქციის გამო ერქვა „Ruche“ (სკა). მის სახელოსნოს ემიჯნებოდა ცნობილი მხატვრის – სუტინის – ატელიე, რომელიც სავსე იყო ნატურმორტის კომპონირებისთვის საჭირო ცოცხალი პროდუქტებით. ხელმომჭირნეობის გამო სუტინი მათ განახლება-შევსებაზე არ ზრუნავდა და გაფუჭებული ხორცისა და სხვა პროდუქტების აუტანელი სუნი ხშირად ე. ახვლედიანის სახელოსნომდეც აღწევდა.

ამიტომ იგი არ ერიდებოდა კოლეგას, მისივე თანდასწრებით ყრიდა გაფუჭებულ პროდუქტებს და თან პატარა ბავშვივით ტუქსავდა – «брось свои еврейские штучки». სუტინს არ სწყინდა;

– იხსენებენ იმასაც, რომ ჯორჯ სანდთან პარალელის აქცენტირებისათვის, პარიზიდან ჩამოსვლის შემდეგ, ე. ახვლედიანს ჩაუცვამს მამაკაცის კოსტუმი, დაუხურავს ცილინდრი და ტროსტით ხელში გასულა ვოლოვინის პროსპექტზე სასაიერნოდ;

– ახვლედიანის სითამამე „გადამდები“ აღმოჩნდა: მან გააბედვინა სვიატოსლავ რიხტერს მხატვრობის ფარული სიყვარულის საჯაროდ გამოვლენება და პირველად მუსიკოსის ცხოვრებაში გამართა რიხტერის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა თბილისში, საკუთარ სახელოსნოში.

თანდაყოლილ სითამამეს თავისებურ ხიბლს მატებს სრულიად ბუნებრივი ექსცენტრულობა, რაც, როგორც ჩანს, აძლევს საშუალებას უფრო კომფორტულად იგრძნოს თავი. ამასთან, არ ერიდება კმაყოფილების გამოხატვას საკუთარი „უსაზღვრო სილალის“ გამო. აი, რას სწყერს იგი თავის მეგობარს, ლიტერატორ ე. ტაგერს მოსკოვში, 1946 წ. 23 სექტემბერს: «... я была на трех банкетах с американцами, было очень весело, просто и мило. Ваша слуга покорная отплясывала дикую лезгинку с кинжалом во рту. партнером был мистер Гримм. Потом Ладо и я танцевали какое-то несусветное танго, потом опять лезгинку. В общем два художника были в ударе и перевернули всё вверх дном... Глава делегации мистер Гримм пожилой, лет 65 дурачился вместе с нами, а кругом все хохотали до упаду...»

ცნობილი ფაქტია, ე. ახვლედიანი არ გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით და როგორც თვითონ ხშირად სიამაყით ამბობდა, არ უყვარდა „ბევრი ლაპარაკი“ არც საკუთარ თავზე და არც სხვებზე. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ. ეს არის ამონარიდი მიხეილ მრეველიშვილის წერილიდან, 1965 წელს გამართული პერსონალური გამოფენის კატალოგს რომ დაურთო: „ის თითქო მორიდებულიც არის და ხანდახან გამბედავიც. არასოდეს არ იცი, რა მოეწონება და რას დაგიწყენებს.

ლაპარაკი არ ეხერხება. სიტყვაძვირია და მეტყველებაშიც კოჭლობს. მინდა ეს წერილი წინასწარ გავაცნო და ვშიშობ:

– რა არის ეს! – უსათუოდ უკმაყოფილოდ შემეკითხება ის და მეც ამ გრძელი წინადადებიდან თითქმის ვერაფერს ვერ გავიგებ. და ბოლოს, როცა მივხვდები, თუ რა მკითხა, მაშინდა ვუპასუხებ მორცხვად:

– ეს თქვენი ნიჭის თაყვანისმცემლის შთაბეჭდილებაა მხოლოდ და სხვა არაფერი...

– ან ეს რა საჭირო იყო ვითომ? – იტყვის ელენე და ამით გაათავებს წერილზე საუბარს.“

მიუხედავად ამისა, თავის *სათქმელს მხატვარი მაინც ამბობდა უბრალოდ, პირდაპირ, მოურიდებლად, შეულამაზებლად და ყოველთვის წვდებოდა არსებითს, ძირითადს*. ამიტომაც, ე. ახვლედიანის პიროვნების დასახასიათებლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს მისი ორენოვანი (რუსულ-ქართული) ეპისტოლარული მემკვიდრეობა, პრესაში გამოქვეყნებული წერილები, ინტერვიუები თუ საჯარო გამოსვლები. მათი შესწავლის შედეგად, ადვილი დასადგენია, თუ რომელი გამონათქვამი შეესატყვისება ახვლედიანის ლექსიკას, მისი მეტყველებისა და წერის მანერას (ანუ, რომელი წარმოადგენს „დედანს“) და რომელია რედაქტირებული, ჩამატებული ან „ახვლედიანთან მიახლოებული“. გარდა ამისა, ე. ახვლედიანის „თეორიული მემკვიდრეობა“ ასევე უმნიშვნელოვანესი წყაროა თანადროული ხელოვნების ფართო სპექტრის წარმოსაჩენად და იგი საგანგებო მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

შურიგებლობა, პროტესტი

მისთვის მიუღებელ საქციელს არ ეპუება და გამოხატავს დაუმორჩილებლობას აქტიური ფორმით და არავითარ შემთხვევაში – დუმილით:

– ა. ვარდიაშვილის ოჯახში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ერთ ზაფხულს ანა, მშობლებთან ერთად წასულა მთაში ელიჩკას გარეშე. პროტესტის ნიშნად მას მოუხატავს ანას ოთახის სამი კედელი სოფელ საბუეში. ორი კედელი დაუთმო ბიბლიურ სიუჟეტს, ხოლო მესამე – ი. გრიშაშვილის

ლექსის „სიზმარი ჰამაკში“ ილუსტრაციას. მთიდან დაბრუნებულ ანას მამას ისე მოსწონებია ელიჩკას შემოქმედება, რომ შეუთვლია: „შეგიძლია, ყველა ოთახი მოხატო“. ეს იყო ელიჩკას პირველი სერიოზული პროტესტი, რომელმაც მისთვის სასურველი შედეგი გამოიღო;

– ე. ახვლედიანის დამახასიათებელ საინტერესო ეპიზოდს აღწერს პრესაში გამოქვეყნებული ტანია კაკაბაძის ერთი მოგონება: „ერთხელ, ღამის პირველ საათზე თავზე დაკეცვად ელიჩკა და ლოგინიდან აგვეყარა: აბა, ჩქარა, კაფე „ჟოკეიში“ უნდა წავიდეთო. ეს კაფე ღამის ორ საათზე იხსნებოდა. იმ დროს მოდაში იყო ბიჭურად შეკრეჭილი თმა. მთელს პარიზში, ვგონებ, მე ვიყავი ერთადერთი ქალი, ვინც არ აჰყვა ამ მოდას. კაფე „ჟოკეიში“ გამომეცხადა ზანგის ბიჭი მაკრატლით ხელში: ქალბატონო, თმა უნდა შეგჭრათო. გაჯავრდა ელიჩკა: ერთი მითხარი, ვინ გაბედა შენი გამოგზავნაო. ბიჭუნამ გვერდზე მაგიდასთან მჯდომ მამაკაცზე მიუთითა. ესე არ უნდაო, მიიჭრა ელიჩკა და პირდაპირ ცხვირ-პირში წყალი შეასხა. მისი „მსხვერპლი“ ცნობილი ფრანგი მხატვარი პოლ სინიაკი აღმოჩნდა.“⁷¹ ასე გაიცნო ე. ახვლედიანმა სინიაკი, რომელიც „დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდა;

– 1937 წელს ტიციან ტაბიძის ტრაგიკული ისტორია ხალხმა ჯერ კიდევ არ იცოდა, როცა დაპატიმრების პირველ დამეს, სიცოცხლის რისკის ფასად მის ოჯახში გიორგი ლეონიძის მეუღლე, ხოლო მეორე დამეს, მხოლოდ ორი პიროვნება მივიდა თანაგრძნობის გამოსახატად. როგორც პოეტის ქალიშვილმა ნიტა ტაბიძემ გვამცნო, ეს იყო რაჟდენ გვეტაძის მეუღლე და ელენე ახვლედიანი;

– 1937 წელს რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდა აგრეთვე მხატვრის ყოფილი მეუღლე აპოლონ კაკაბაძე. განქორწინების მიუხედავად, ე. ახვლედიანმა გულწრფელად განიცადა მისი დაღუპვის ამბავი. იგი ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდა ა. კაკაბაძის შვილებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის ერთ-ერთი მათგანის – მხატვარ რევაზ კაკაბაძის პროფესიულ არჩევანში. მაია კაკაბაძე (აპოლონ კაკაბაძის ქალიშვილი) დღესაც სათუთად ინახავს ე.

ახელედიანის ადრეული პერიოდის ნამუშევრებს, ნაჩუქარ ნივთებს;

- დავით კაკაბაძის ცხედართან იდგა პიროვნება, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა აკადემიიდან მხატვრის დათხოვნაში. ე. ახელედიანმა აიძულა იგი, დაეტოვებინა საპატიო ყარაული;

- დავით კაკაბაძის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრები ე. ახელედიანის სიცოცხლის ბოლო წუთამდე გრძნობდნენ მის თანადგომას. ეთერ ანდრონიკაშვილი, დღიდან დაარსებისა პლენერისტთა ჯგუფშია, ხოლო 1963 წლიდან მას ემატება ყველაზე ახალგაზრდა წევრი ამირ კაკაბაძის სახით. ე. ახელედიანი გვერდიდან არ იშორებს ამ ნიჭიერ ადამიანებს. მრავლისმთქმელია საახალწლო ბარათი, რომელიც დ. კაკაბაძის შეილებთანაა გაგზავნილი: „პირველ რიგში, გისურვებთ ჯანმრთელობას, მერე - კარგ სწავლას, წარმატებას შემოქმედებაში... დედას უნდა გაუფრთხილდეთ, გვახარებდეთ თქვენი მიღწევებით, მაღლა გეჭიროთ ჩვენი ხელოვნების ღროშა, ადიდებდეთ მამათქვენის სახელს. გისურვებთ გქონდეთ ცოტა ფული, რათა შეგეძლოთ მუშაობა, არ ფიქრობდეთ პურსა და სადილზე, შეგეძლოთ ქვეყნიერების მონახულება, პირველ რიგში კი, საქართველოსი, რათა გაიგოთ რამდენი რამაა მშვენიერი ამ ქვეყანაზე. ღირს ცხოვრება ამ მშვენიერების გამო. გკოცნით, ელიჩკა“;

- ე. ახელედიანის ფიზიკური ჩარევის შედეგად (იგი წინ აღუდგა ბულდოზერებსა და ტრაქტორებს) ძველი თბილისის რამდენიმე შენობა გადაურჩა დანგრევას;

თანამედროვეთა მოგონებებში მრავლად არის ე. ახელედიანის მებრძოლი ხასიათის დამადასტურებელი ეპიზოდები, რომლებსაც ზოგჯერ კურიოზულ ისტორიებადაც იხსენიებენ მხატვრის ერთგვარი ექსცენტრიულობის გამო.

ნოვატორობა

ე. ახელედიანის ნოვატორობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ხორცშესხმული პროექტებით. მას ეკუთვნის: ქართული თოჯინის, ბავშვთა სურათების გაღერების, მხატვართა კვირეულის, გამოფენა-გაყიდვის, ორიგინალური

ღია ბარათების, მუზეუმის საგანმანათლებლო ფუნქციის აქტივიზაციის, ძველი თბილისის „გაცოცხლების“ და უნიკალურ ქალაქად გადაქცევის და მრავალი სხვა იდეა.

– უნიკალური ქალაქის ფენომენში გარეგნული იერსახის შენარჩუნებასთან ერთად ე. ახვლედიანი შოიაზრებდა თბილისის გარდაქმნას კულტურისა და ხელოვნების ცენტრად. მას სურდა, რომ მის თანამემამულეებს ჰქონოდათ საუკეთესო ხელოვანთა შემოქმედების გაცნობის საშუალება. თბილისში გასტროლების თაობაზე გამოიხენილი შემსრულებლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ არა შესაბამის სტრუქტურებთან, არამედ ე. ახვლედიანთან. მხატვრის პირად არქივში დაცული კორესპონდენცია ცხადყოფს, თუ როგორ დიპლომატიურად, ამასთან, ძალდაუტანებლად და უშუალოდ ასრულებს იგი „იმპრესარიოს“ ფუნქციას და ყოველთვის სასურველ შედეგს აღწევს, რაც მის კიდევ ერთ განსაკუთრებულ უნარზე მიუთითებს.

